

ფიქსირებული ფართობლოვანი  
მომსახურების ბაზრის მიმოხილვის  
შეფასება, მნიშვნელოვანი საბაზრო  
ძალაუფლების განსაზღვრის  
პროცედურები და მარეგულირებელი  
რეკომენდაციები საქართველოსთვის

23 აპრილი, 2024

*მომზადებულია:*

შპს მაგთიკომისთვის ბიდიო კონსალტინგისა და  
[Kalba International, Inc.](#)-ის მიერ

## სარჩევი

შესავალი და მოკლე შეჯამება	3
ფიქსირებული მომსახურებები	7
1. ფიქსირებული ფართობლოვანი მომსახურების ბაზრის განმარტება	7
1.1 ბაზრის მიმოხილვა	7
1.2 FTTx (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი x წერტილამდე) ქსელები	8
1.3 მომსახურებების კომპლექტები	9
1.4 მომსახურების ფასები და სინქარეები	9
1.5 ბაზრის სეგმენტაცია	11
1.6 ბაზრის განსაზღვრა	12
2. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) განსაზღვრა და მისი შედეგები	13
2.1 SMP ბაზრის განსაზღვრა	13
2.2 განსაზღვრის საფუძველი	13
2.3 ალტერნატიული SMP დასკვნები	15
3. მოსაზრებები საბითუმო ბაზრის შესახებ	17
3.1 მომავალზე ორიენტირებული შეფასება	17
3.2 ალტერნატიული შეფასებები	18
3.3 საბითუმო ბაზართან დაკავშირებული შემოთავაზებული ნაბიჯები	20
3.4 საბითუმო ბაზრის განმარტება	22
4. საბითუმო ბაზრის SMP-ის განსაზღვრა	23
4.1 SMP-ის განსაზღვრის საფუძველი	23
4.2 წინააღდეგობრივი მტკიცებულება	24
4.3 მაგთიკომი როგორც სამიზნე	25
4.4 კონკურენცია ტერიტორიების მასშტაბებზე	26
4.5 კვლევის დასკვნები	27
5. შემოთავაზებული მარეგულირებელი ზომები	28
5.1 შემოთავაზებული გადაჭრის გზები	28
5.2 წვდომის პირობები	29
5.3 არა-დისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა	30
5.4 ფასების კონტროლი და ხარჯების აღრიცხვა	31
6. ევროკავშირის ბაზრისა და პოლიტიკის შედარებები	32
6.1 შედარებები ევროკავშირის ბაზრებთან	32
6.2 შეუსაბამობები ევროკავშირის პოლიტიკასთან	33
დაშვებები და შეზღუდვები	35
აბრევიატურები, განსაზღვრებები და ტერმინთა განმარტებები	36

## შესავალი და მოკლე შეჯამება

მოცემულ ანგარიშში ჩვენ ვაფასებთ კვლევას, რომელიც გამოქვეყნდა ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში 2023 წლის ნოემბერში *ფიქსირებული ფართობლოვანი ბაზრის მიმოხილვა*.

კვლევა ეხება ფიქსირებული ბაზრის საქართველოში და ფოკუსირებულია დაადგინოს, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) მქონე ოპერატორი და თუკი არსებობს, რა ზომის მიღება შეიძლება მასთან მიმართებით. ამისთვის კვლევა:

- სწავლობს საქართველოს ბაზრისა და ძირითადი ოპერატორების სხვადასხვა პარამეტრს
- განსაზღვრავს, თუ რას მიიჩნევს რელევანტურ ბაზრად SMP მიზნებისთვის
- ამზადებს დასკვნებს იმ ოპერატორის შესახებ, რომელიც ჩაითვლება SMP-იდ
- ხსნის, მომზადებული დასკვნის საფუძველს და
- აჩვენებს გადაჭრის გზებსა და პირობებს, რომელიც უნდა წარედგინოს ოპერატორს.

ამ პროცესში კვლევები განიხილავს ბაზრის საცალო და საბითუმო დონეებს, თუმცა ყურადღებას ამახვილებს საბითუმო ნაწილზე, მისი SMP-ის განსაზღვრებისა და დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ზემოთ დასახელებული კვლევის შეფასებას, მისი მიდგომის თვალსაზრისით შესაბამისი ბაზრებისადმი, დასკვნებს SMP-თან მიმართებით და მათთან დაკავშირებულ საშუალებებს უფლებების დაცვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ანგარიში მოიცავს ძირითად მიდგომებს, რომელიც ასახულია კვლევაში და მათი გამოყენების დონეს საქართველოს ფიქსირებული კავშირის განვითარების შესასწავლად.

## შეფასების მიდგომა

შეფასების პროცესში, ანგარიშის სრულყოფის მიზნით, აღნიშნული კვლევის შესახებ გამოვიყენეთ რამდენიმე პერსპექტივა, რომელიც მოიცავს:

1. განსახილველი ბაზრის შესწავლასა და განსაზღვრის ალტერნატიულ გზებს
2. განსხვავებებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესაბამისი ქსელებით დაფარვისას
3. გამოყენებულ ტექნოლოგიების ნაზავს და მათ კვეთას ანალოგიური სერვისების მიწოდებისას
4. საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან მსგავსებას ან განსხვავებას მისი ძირითადი ეკონომიკური განვითარებით, მოსახლეობის რაოდენობითა და ტოპოგრაფიით
5. განსხვავებებს საქართველოს ფიქსირებული მომსახურების ბაზრებსა (და დომინირებულ ტექნოლოგიებს) და ევროკავშირის უმეტეს ქვეყანას შორის

გარდა ამისა, ჩვენ გაჩვენებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირის ძირითადი ქვეყნების ბაზრების განვითარებას შორის არსებული განსხვავების გათვალისწინება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისას. ამასთან, აღვნიშნავთ საქართველოში მიღწეული საკომუნიკაციო პოლიტიკის მიზნების შესწავლის მნიშვნელობას, მისი ეკონომიკური დონის, მცირე მოსახლეობისა და უჩვეულოდ მთიანი რელიეფის მიუხედავად და ასევე ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, შეიძლება თუ არა ეს მიზნები საფრთხის ქვეშ დადგეს კვლევაში რეკომენდებული SMP პირობებისა და შეზღუდვების დაწესებით.

## კვლევის დასკვნები

განვიხილავთ ჩვენს დასკვნებს ფიქსირებული, ფართობლოვანი ბაზრის შესახებ და აღვნიშნავთ, რომ ამ პროცესში ზოგიერთი დასკვნა ეფუძნება ევროკავშირის მიდგომას SMP-ის არსებობის დადგენასთან დაკავშირებით.

### ბაზრის განსაზღვრა და SMP

კვლევაში ბაზრის აღწერის დეტალური მიმოხილვის (საცალო და საბითუმო დონეები), SMP მიზნების განსაზღვრის, SMP-ის განსაზღვრის და მასთან დაკავშირებული საფუძვლების, მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით არსებული შეთავაზებების გათვალისწინებით, სრული ანგარიში მოიცავს რამდენიმე გამოსავალსა და ქმედებას, ასევე ზედაპირზე ამოაქვს შეკითხვების ფართო სპექტრი კვლევის შედეგებთან მიმართებით. წარმოგიდგინთ ჩვენ მიერ გამოტანილ ძირითად დასკვნებს.

მოცემული დასკვნები მოიცავს ჩვენს შეფასებას, რომ არსებული სხვადასხვა საოპერაციო პირობისა და კონკურენციის დონის გათვალისწინებით, კვლევის დამოკიდებულება ბაზრის, როგორც ერთიანი ეროვნული ბაზრის მიმართ არასრულყოფილია. მაგალითად, ცალკეულად შეიძლება განვიხილოდეს შემდეგი სამი სეგმენტი: (1) სადაც სამი ან მეტი ოპერატორი თანაარსებობს და კონკურენციას უწევს ერთმანეთს, (2) სადაც ორი კონკურენტი არსებობს და (3) სადაც მხოლოდ ერთი ოპერატორია წარმოდგენილი. მიგვაჩნია, რომ თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ფართობლოვანი წვდომის მრავალფეროვნებას (მათ შორის, FWA-ს, xDSL-სა და მობილურ ფართობლოვან ქსელს), SMP მიზნებისთვის FTTx ტექნოლოგიაზე ფოკუსირება ხელოვნურია.

ამის ნაცვლად, კვლევა გვთავაზობს ბაზრის, როგორც ქვეყნის დონეზე ერთი სტრუქტურის ხედვას ე.წ. ზემოდან-ქვემოთ (დაღმავალი) მიდგომით. მაგრამ როგორც ევროკავშირის SMP გაიდლაინების შეფასებაშია მითითებული, "გეოგრაფიული ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს ქვემოთა ზემოთ (აღმავალ) მიდგომას, განსაზღვროს ბაზრის სეგმენტები ადგილობრივი კონკურენტული პირობების მიხედვით, არ გამოიყენოს დაღმავალი მიდგომისთვის დამახასიათებელი ათვლის წერტილები, როგორცაა ერთიანი ეროვნული ბაზარი ან ბაზარი ეროვნული ელემენტის გარეშე."<sup>1</sup> ეს აღმავალი მიდგომა ეფუძნება ევროკომისიის კონკურენციის კოდექსს.<sup>2</sup> უფრო მეტიც, ასეთი მიდგომა გამოიწვევს საქართველოში მოქმედი ბაზრის (ბაზრების) მნიშვნელოვნად განსხვავებულ განმარტებას.

ასევე აღვნიშნავთ, რომ FTTx ტექნოლოგიაზე ფოკუსირება არ არის მგრძობიარე ფასთან მიმართებით, რადგან FWA, xDSL და მობილური ფართობლოვანი კავშირის დანერგვა ზოგადად ნაკლებად ძვირია. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს მთავარი FTTx მომწოდებლის წინასწარ განზრახულ მიზნობრიობაზე და არა საქართველოს რთული გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული რელიეფის მქონე ტერიტორიებზე ფიქსირებული ფართობლოვანი სერვისების მიწოდებისას გამოყენებული გადაჭარბებული საბაზრო ძალაუფლების დაბალანსებულ შეფასებაზე.

ამავდროულად, FTTx-ის ფართო ხელმისაწვდომობა (უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში), მათ შორის მისი არსებობა ბევრი სოფლის ტერიტორიაზე, კვლევამ

<sup>1</sup> Copenhagen Economics, SMP Guidelines-ის მიმოხილვა, მომზადებული ETNO-ევროპული სატელეკომუნიკაციო ქსელის ოპერატორთა ასოციაციისთვის, 2017 წლის 25 სექტემბერი.

<sup>2</sup> 2020 წელს, მაგალითად, კომისიამ აღნიშნა, რომ „გეოგრაფიული ტერიტორიები... რომლებიც შეიძლება, გამოირჩეოდეს მეზობელი ტერიტორიებისაგან, სადაც კონკურენციის გაბატონებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება... კონკურენციის მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებს აწყდება...“ ამით მან მოიხსენია კონკურენციის კოდექსის 64-ე მუხლი (3).

არ აღიარა, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი მნიშვნელოვანი პოლიტიკის მიზნების შესრულებისთვის, მათ შორის მომსახურების ფართო დაფარვისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისთვის.<sup>3</sup> მთლიანობაში, საქართველოში ოპტიკურ-ბოქკოვანი ფიქსირებული ინტერნეტის შეღწევადობის მაჩვენებელი და ტექნიკური სიჩქარე ევროპულ ქვეყნებთან შედარებით მაღალგანვითარებულია და შესაბამისი სერვისების პაკეტები ხასიათდება გონივრული ფასით.

### *ფიქსირებული და მობილური ინტეგრაცია*

საკვლევი ბაზრის განსაზღვრის მთავარი ასპექტია იმის მტკიცება, რომ ფიქსირებული და მობილური ფართობლოვანი ბაზრები სრულიად განცალკევებულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მინიმალურ სიჩქარედ დადგენილია 10 მბ წამში (მბ/წმ). უპირველესად, როგორც ანგარიშში აღვნიშნავთ, 4G მობილური კავშირი რეგულარულად გვთავაზობს ბევრად უფრო მაღალ სიჩქარეს და მომხმარებლის არჩევანის თვალსაზრისით, ეს ორი ვარიანტი სულ უფრო ხშირად ანაცვლებს ერთმანეთს, ამასთან, არჩევანი სულ უფრო ხშირად კეთდება მობილურ ვარიანტზე. მთლიანობაში, ეს ყველაფერი მიუთითებს კონკურენციაზე ამ ორ „სეგმენტს“ შორის და სავარაუდოა, რომ მობილური მოწყობილობების გამორიცხვა ბაზრის განმარტებიდან ისევე იყო მოტივირებული SMP-ის თარგეთინგს, როგორც SMP-ის განსაზღვრით ობიექტურ საფუძველზე.

გადაწყვეტილება, რომ ყველა სხვა ფიქსირებულ ფართობლოვან ქსელს შორის ფოკუსირება გაკეთდეს FTTx-ით მიწოდებულ ფიქსირებულ ფართობლოვან წვდომაზე, ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი. ამის შედეგი იქნება განხილული ბაზრის ზომის შემცირება და კონკრეტული ოპერატორის როლის ხაზგასმა. უფრო დაბალანსებული მიდგომა ეფუძნება ფართობლოვანი ბაზრის მთლიანობაში შესწავლას, რომელიც იზრდება რამდენიმე პარამეტრის, მათ შორის ბაზრის ზომის, პროვაიდერების რაოდენობის, მომხმარებლების შესაძლო ვარიანტების მიხედვით, რასაც შეუძლია, უზრუნველყოს მეტად ბალანსირებული და დასაბუთებული მიდგომა როგორც ბაზრის დინამიკის განსაზღვრის, ისე პოლიტიკური მიზნების მიღწევის თვალსაზრისით - იქნება ეს დაფარვისა თუ ხელმისაწვდომობის გაფართოება, დანერგვა და ხელმისაწვდომობა, საქროების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი და ინოვაციური ტექნოლოგიებით, თუ ინტერნეტისა და ტრაფიკის გამოყენების ზრდა.

### *ძირითადი განსხვავებები ევროკავშირისგან*

ასევე გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, თუ რამდენად არ შეესაბამება საქართველოს ბაზარი ევროკავშირის ბაზრების უმეტეს ნაწილს. ეს განსხვავება მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და SMP-ის განსაზღვრებისას. ფუნდამენტურ განსხვავებას წარმოადგენს დომინანტი, მოძველებული ოპერატორისა და მასთან დაკავშირებული ფართობლოვანი კავშირის მიწოდების საშუალებების, კერძოდ xDSL-ის არარსებობა. საქართველოში იმ დასახლებების რაოდენობა, რომელსაც აქვს წვდომა xDSL-ის ბაზაზე მომუშავე ფართობლოვან კავშირზე, განსაკუთრებით მცირეა.

შესაბამისად, ევროკავშირის მარეგულირებელმა ორგანოებმა ფიქსირებული სატელეფონო კავშირის ძველ მომწოდებლებს შორის ბევრი დაასახელეს SMP-დ. გარდა ამისა,

<sup>3</sup> ევროკომისიამ თავად მიუთითა, რომ SMP-ის განსაზღვრისას „ანალიზმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ტიპის (სექტორისთვის სპეციფიკური) რეგულირების, გადაწყვეტილებების ან კანონმდებლობის ეფექტები, რომლებიც გამოიყენება შესაბამის საცალო და დაკავშირებულ საბითუმო ბაზარ(ებ)ზე შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.“ იხილეთ ევროკომისიის სახელმძღვანელო ბაზრის ანალიზზე და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს მიხედვით, 2018/C159/01, სექცია 1.3.17.

ფიქსირებული მომსახურების სექტორში SMP-ის განსაზღვრა ევროკავშირის მარეგულირებელი ორგანოების მიერ, რომელიც მერე გადაიხედა ევროკავშირის მიერ, როგორც წესი, ეფუძნება ყველა ფიქსირებულ კავშირს და არამხოლოდ FTTx-ს. შედარებისთვის, სავარაუდო მიდგომა საქართველოსთვის, კერძოდ ცალსახად FTTx სერვისებთან მიერთება შერჩევითი და არ ითვალისწინებს სილქნეტსა და სელფის, ასევე გლობალ ერთის, აილინკის და FWA მომსახურების სხვა 80-მდე მომწოდებლის კონკურენტულ როლს.

ჩვენ აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ კვლევა აღიარებს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის განსხვავებები რომ უნდა იქნას გათვალისწინებული. როგორც ნათქვამია, იგი სრულად არ განიხილავს ჩართული ძალიან განსხვავებული ეკონომიკური დონის ქვეყნების შედეგებს. ჩვენ ვერ ვიპოვეთ საქართველოს ბენჩმარკინგი მაგალითად ბულგარეთთან, განსხვავებით ევროკავშირის ყველა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლისა (ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ბულგარეთის ეკონომიკური დონეც კი 1.7-ჯერ აღემატება საქართველოს მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე გაზომვისას, PPP-ის მიხედვით<sup>4</sup>). კვლევა ასევე ხაზს არ უსვამს დამატებით ფაქტორებს, როგორცაა საქართველოს მცირე მოსახლეობა ან მისი მთიანი რელიეფი, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში.

### მრავალი ოპერატორის დაშვება

ერთი საბოლოო დაკვირვება ეხება კვლევის ძირითად დაშვებას, რომ რამდენიმე ოპერატორის აგრესიული კონკურენცია FTTx-ზე დაფუძნებული ფართობლოვანი სერვისების მიწოდების მიმართულებით, ნორმალურია. სინამდვილეში, ამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საინვესტიციო რისკების გათვალისწინებით, ბაზრებს, სადაც უზრუნველყოფილია ოპტიკურ-ბოქსოვანი, ფართობლოვანი წვდომა და გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, როგორც წესი, ემსახურება ერთი ან ორი ძირითადი ოპერატორი, მაგალითად, კორეაში (Korea Telecom-ი და LG Plus-ი), იაპონიაში (NTT და KDDI), ესპანეთში (Telefonica და Vodafone-ი), შვედეთში (Telenor-ი), ლიტვაში (Telia Lietuva) და რუმინეთში (Orange-ი).

ბოლო შემთხვევაში (რუმინეთში), წარმოდგენილი იყო ოპტიკურ-ბოქსოვანი, ფართობლოვანი კავშირის ორი ძირითადი პროვაიდერი (Orange-ი და Telekom Romania), რომელთა რიცხვი ერთამდე შემცირდა, როდესაც Orange-მა Telekom Romania-ს საკონტროლო პაკეტი შეიძინა 2021 წელს. გარდა ამისა, შერწყმა დაამტკიცა ევროკავშირის კონკურენციის ორგანომ. ანალოგიურად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში SMP-თან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტები სასამართლომ არავალიდურად ცნო იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მთავარი ოპერატორები ფლობენ ბაზრის მნიშვნელოვან წილს (მაგ. ფინეთსა და შვედეთში). თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც ერთი ოპერატორი განისაზღვრა როგორც SMP-ის მქონე, მოქმედ ოპერატორებს მიენიჭათ მათი ქვეყნების თავდაპირველი მემკვიდრე ოპერატორების სტატუსი, რაც მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რასაც კვლევა აჩვენებს საქართველოსთან მიმართებით.

Kalba International, Inc.



შპს ბიდიო კონსალტინგ

შპს ბიდიო კონსალტინგ  
BDO Consulting LLC

23 აპრილი 2024

<sup>4</sup> მსოფლიო ბანკის მონაცემები, 2022.

## ფიქსირებული მომსახურებები

ანგარიშის ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მომზადებულ ბოლოდროინდელ ფიქსირებული მომსახურებების კვლევას.<sup>5</sup> კვლევა მის თავფურცელზე ასახავს ორ თარიღს, რომლებიც, ვივარაუდეთ, რომ წარმოადგენს, კვლევის თავდაპირველი დასრულებისა და მისი ოფიციალური გამოსვლის თარიღებს.

### 1. ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების ბაზრის განმარტება

ფიქსირებული სერვისების ბაზრის განსაზღვრისას Association Study (ასოცირების კვლევა) ასახავს რამდენიმე საბაზრო განსხვავებას, რომელიც განსაზღვრავს SMP ქცევას და ამართლებს უფლებების დაცვის აპრიორულ საშუალებებს. მიდგომა, ჩვენი აზრით, იმგვარად არის გამოყენებული, რომ მაქსიმალურად გაზარდოს SMP-ის განსაზღვრის პოტენციალი, როგორც ამას ქვემოთ ავხსნივთ.

#### 1.1 ბაზრის მიმოხილვა

3.1 ნაწილში, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კვლევა იძლევა მიმოხილვას საქართველოს მასშტაბით ფიქსირებული ფართობოლოვანი ტექნოლოგიების დაფარვის შესახებ. ეს მიმოხილვა ეფუძნება ქსელის ოპერატორებისა და სერვისის პროვაიდერების მიერ 2022 წელს კომუნიკაციების კომისიის კითხვარის პასუხად მოწოდებულ მონაცემებს და იყენებს „დასახლებებს“, როგორც საცნობარო ერთეულს. კვლევის თანახმად, საქართველოში 3,605 დასახლებაა.

კვლევა აგრძელებს დასახლებების ოთხ კატეგორიად დაჯგუფებას არსებული ოპერატორების რაოდენობის მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შედეგები, თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებული შინამეურნეობების რაოდენობის ჩათვლით<sup>6</sup>.

**ცხრილი 1: ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზრების კატეგორიები დასახლებების მიხედვით**

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა (ათასი)	შინამეურნეობების %	გამოწერები (ათასი)
3 ან მეტი	474	957.1	76.4	866.3
2	607	119.5	9.5	56.7
1	1,104	114.6	9.2	33.9
0	1,420	60.8	4.9	0
სულ	3,605	1,252.0	100.0	956.9

*წყარო: ასოცირების კვლევა კომუნიკაციის კომისიის კითხვარზე პასუხების საფუძველზე, 2023*

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მოსახლეობის თვალსაზრისით შესაბამისი წილები შეადგენს 54%-ს დასახლებული პუნქტებისთვის სამი ან მეტი ოპერატორით (აქედან 55.8% თბილისში), 17.3%-

<sup>5</sup> ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზრის მიმოხილვა – 08.12.2023, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელების მექანიზმი – II, 2023 წლის ნოემბერი. ეს მოხსენიებული იქნება, როგორც ასოცირების კვლევა ან კვლევა ა ნაწილში. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება მოხსენიებული, როგორც ფიქსირებული სერვისების კვლევა.

<sup>6</sup> იქვე., გვ. 38.

თან შედარებით, სადაც არ არიან ოპერატორები. ეს მიუთითებს, რომ საშუალოდ უფრო დიდი ზომის შინამეურნეობები ქარბობენ სოფლად და შედარებით მცირე ქალაქებში.

## 1.2 FTTx (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი x წერტილამდე) ქსელები

### FTTx-ის არსებობა

კვლევა ასევე მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის წარმოდგენილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელები საქართველოში, კერძოდ, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელზე წვდომა შემოთავაზებულია დასახლებებში, სადაც ქვეყნის შინამეურნეობების 84.7%-ია თავმოყრილი. ამავდროულად, ყველა შინამეურნეობის 64.2% არის დასახლებებში, სადაც არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელები, ასევე DSL და ფიქსირებული უკაბელო (FWA) ქსელები. გარდა ამისა, ადგილობრივი შინამეურნეობების 15.3% იმ დასახლებებშია, სადაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, კვლევაში აღნიშნულია, რომ ტერიტორია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების გარეშე არაპროპორციულად დიდია.

(გასათვალისწინებელია, რომ FTTx ან სხვა ფართობლოვანი ქსელის ხელმისაწვდომობა დასახლებაში არ ნიშნავს, რომ ამ ქსელებზე პირდაპირი წვდომა ყველა შინამეურნეობას აქვს. კვლევის ნაწილი ქსელის ხელმისაწვდომობის შესახებ მოიცავს ისეთ დასახლებებსაც, სადაც მხოლოდ ერთი შინამეურნეობა შეიძლება იყოს პირდაპირ დაკავშირებული ქსელთან.)

### ქალაქი vs. სოფელი

კვლევა ხაზს უსვამს სხვაობას საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის, სადაც სპექტრის ერთ ბოლოში თბილისია, ხოლო მეორეში 1,000 ან ნაკლები მოსახლით დასახლებული ადგილები. ავტორები აღნიშნავენ, რომ თბილისის „აქვს სატელეკომუნიკაციო ქსელის ყველაზე დიდი დაფარვა, მათ შორის FTTx ქსელების ოთხი პროცენტი, xDSL ქსელების ორი პროცენტი, FWA ქსელების ორი მცირე პროცენტი (ერთ-ერთი FWA ქსელი დაფუძნებულია LTE ტექნოლოგიაზე)“. ამის საპირისპიროდ, „1,000-ზე ნაკლები მოსახლით დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი არ არის დაფარული FTTx ქსელებით (2,247 დასახლებული პუნქტი 2,835-დან). გარდა ამისა, 1,190 სხვა დასახლებულ პუნქტს არ გააჩნია რაიმე ტექნოლოგიის ფიქსირებული, ფართობლოვანი ქსელი. შინამეურნეობების მხოლოდ 17% არის FTTx-ის აბონენტი“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავება დიდია და ამის საფუძველზე, კვლევა მიდის დასკვნამდე, რომ „ნამდვილი გამოწვევა, რომელიც რჩება საქართველოსთვის ისაა, თუ როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ფართობლოვანი კავშირი მცირე, სოფლის კატეგორიის დასახლებებში, სადაც არ არსებობს ეკონომიკური სტიმული ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის ქსელების შესაქმნელად.“<sup>7</sup> თუმცა, ამის აღნიშვნისას კვლევაში არ არის თანაბრად ხაზგასმული, რომ ყველაზე პატარა დასახლებაში არსებული შინამეურნეობების 17% არის FTTx-ს აბონენტი. თუ არ არსებობს ეკონომიკური სტიმული, რატომ ხდება ეს? და რომელი ოპერატორები არიან ჩართული მიწოდების სერვისში?

უფრო მეტიც, 17%-იანი მაჩვენებელი 40%-მდე იზრდება შემდეგ კატეგორიაში (დასახლებები 1,000-დან 2,000-მდე შინამეურნეობით), ხოლო 50%-მდე - მომდევნო კატეგორიაში (2,000-დან 5,000-მდე შინამეურნეობით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოპერატორები ინვესტიციებს ახორციელებენ, რათა მიაღწიონ და მოემსახურონ შინამეურნეობებს საქართველოს იმ არეებში, რომელსაც კვლევა არაეკონომიურად მიიჩნევს. მეტიც, ისინი ინვესტიციას ახორციელებენ ასეთ რეგიონებში თავისი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების გასაფართოვებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამის გაცემება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე

<sup>7</sup> იქვე., გვ. 44.



დაფარვის უზრუნველყოფა FWA-ის საშუალებით (უფრო მეტიც, ასეთ ინვესტიციას დიდწილად ახორციელებს მაგთიკომი, როგორც ეს ქვემოთ იქნება განმარტებული).

კვლევა ასევე ხაზს უსვამს, რომ „საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი აბონენტების უმრავლესობა დაკავშირებულია FTTx ქსელთან (91%)”.

### 1.3 მომსახურებების კომპლექტები

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ოპერატორები მზად არიან, ინვესტირება განახორციელონ ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებში, თუნდაც ნაკლებად დასახლებულ რაიონებში ის არის, რომ ამით უზრუნველყოფილია კომპლექტური სერვისების მიწოდება უფრო უსაფრთხო მეთოდით FWA-სა და სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით. კვლევის თანახმად, სერვისების მიქსის შედეგს წარმოადგენს ფართობლოვანი (ინტერნეტისთვის) და სატელევიზიო არხების მიწოდება. ეს ნაწილი შინამეურნეობების ყველაზე მსხვილი სეგმენტია (49%), მას მოჰყვებიან აბონენტები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ ინტერნეტზე წვდომა (39%) და კიდევ მესამე ჯგუფს წარმოადგენენ ისინი, ვინც სარგებლობს „სამმაგი პაკეტით“ ე.წ. Triple Play 9.4%<sup>8</sup> (აერთიანებს ფართობლოვან ინტერნეტთან წვდომას, ტელევიზიას, მობილურ კავშირს ან ტელეფონიას).

ამ კონტექსტში, კვლევა ასევე აყენებს საკვანძო კითხვას „არსებობს თუ არა ცალკე ბაზარი იმ მომსახურებისგან განსხვავებული პაკეტებისთვის, რომლის შექმნაც შესაძლებელია განცალკევებულად.”<sup>9</sup> თუმცა, შემდგომში, SMP-ის განმარტებისთვის შესაბამისი ბაზრის (ბაზრების) განსაზღვრისას, ეს პუნქტი კარგავს აქტუალობას, რადგან აქცენტი გადადის ერთიან ეროვნულ ბაზარზე.


### 1.4 მომსახურების ფასები და სიჩქარეები

კვლევა ასევე მოიცავს მომსახურების ფასსა და სიჩქარესთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს. ჩვენ ვიწყებთ სიჩქარის თემით.

#### მომსახურების სიჩქარეები

მონაცემთა გადაცემის სიჩქარის განხილვისას, რომელიც გვთავაზობს ფართობლოვანი წვდომის სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მომსახურებას, კვლევა განასხვავებს ოთხ დონეს: (1) 10 მბ/წმ-მდე, (2) 10-30 მბ/წმ, (3) 30-100 მბ/წმ და (4) 100-ზე მეტი მბ/წმ.

#### გრაფიკი: ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის წილი სიჩქარის დონეების მიხედვით (2022)



წყარო: კომუნიკაციების კომისია, 2023.

<sup>8</sup> იქვე., გვ. 47.

<sup>9</sup> იქვე., გვ. 48.

როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკი აჩვენებს, საქართველოში, შინამეურნეობებისთვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული სეგმენტია 30-100 მბ/წმ (59%), რასაც მოჰყვება 10-30 მბ/წმ (32%). გამოსახულება აჩვენებს, თუ რამდენად დრამატულად გაიზარდა 30-100 მბ/წმ სიჩქარის კატეგორია, რომელიც 2021 წლის ბოლოდან (12%) ერთი წლის შემდეგ 59% გახდა, რაც მიუთითებს დინამიურ და არა სტატიკურ ბაზარზე, სადაც დომინირებს მოძველებული სატელეფონო კომპანია, როგორც ეს იყო ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში.

მნიშვნელოვანი საინვესტიციო აქტივობის (და თანმხლები რისკის) მტკიცებულება კიდევ უფრო ხაზგასმულია კვლევის მიერ FTTx ტექნოლოგიის უპირატესი როლის აღიარებით. ეს არ არის ხშირი შემთხვევა საქართველოს ეკონომიკურ დიაპაზონში მყოფი ქვეყნებისთვის, თუმცა კვლევა გულისხმობს, რომ აღნიშნული მიუთითებს ბაზრის დეფიციტზე და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ აქტივს.

### მომსახურების ფასები

ფიქსირებული ფართობლოვანი სერვისის მომსახურების ფასების კუთხით, კვლევა იძლევა მონაცემებს, რომელიც განსხვავებს ტექნოლოგიებსა და სიჩქარეს (ჩვენი ვარაუდით, ჩამოტვირთვისთვის), ასევე მიუთითებს თბილისში და მის გარეთ შემოთავაზებულ ფასებს შორის სხვაობაზე. შესამჩნევი განსხვავებები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- FTTH სერვისები, გარდა იმისა, რომ მოიცავს უფრო მაღალ სიჩქარეს, ზოგადად უფრო დაბალფასიანია ვიდრე DSL-ი და FWA-WiFi, თუ სიჩქარის განსხვავებები იქნება გათვალისწინებული.
- მაღალი სიჩქარის მომსახურების ფასები აღემატება დაბალი სიჩქარის სერვისის ფასებს და მერყეობს 100 ლარსა და 10 ლარს შორის.
- FTTH და ასევე DSL სერვისების ფასები თბილისში ძირითადად იგივეა, რაც რეგიონებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზოგჯერ ისინი უფრო დაბალია რეგიონებში (მაგალითად, დაბალი სიჩქარის გამო)
- FWA-WiFi სერვისების ფასები, როგორც წესი, ერთნაირია ორივე ტერიტორიაზე
- გარდა ამისა, არსებობს განსხვავებები ოპერატორების მიხედვით
- სიჩქარიდან გამომდინარე, სქაიტელი სთავაზობს 20%-მდე დაბალ ფასებს FTTH-ზე, ვიდრე სხვა ოპერატორები თბილისსა და რეგიონებში, ისევე როგორც ნიუ ნეტი ერთი სიჩქარის კატეგორიაში (მხოლოდ თბილისში).
- თბილისში გლობალ ერთი სთავაზობს დაბალ ფასებს და ასევე უფრო მაღალ სიჩქარეს DSL სერვისისთვის სხვა DSL ოპერატორებთან შედარებით, თუმცა სილქნეტის ფასები მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე გლობალ ერთის თბილისში, ასევე უფრო დაბალია, ვიდრე ნიუ ნეტის ორ დაბალი სიჩქარის კატეგორიაში (ასევე რეგიონებში).
- რაც შეეხება FWA-WiFi-ს, არსებობს მხოლოდ ერთი სიჩქარის დონე (4 მბ/წმ, თბილისის გარეთ), სადაც ორი ოპერატორია წარმოდგენილი, სქაიტელის სერვისის ფასი 20%-ით ნაკლებია, ვიდრე აილინკის.<sup>10</sup>

საერთო ჯამში, ფასების კონკურენცია შეზღუდულია, რადგან მაშინაც კი, როდესაც ორ ოპერატორს განსხვავებული ფასები აქვს, ისინი შეიძლება არ ფარავდეს ერთსა და იმავე არეალს. კვლევა განსაზღვრავს ზოგიერთ დაბალი ფასის შეთავაზებას, როგორც სარეკლამოს (ანუ დროებითს და სავარაუდოდ უკავშირდება ახალ მოთამაშეებს, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე თავის დამკვიდრებას).

ფასი აჩვენს კითხვას, არის თუ არა FTTH-ის დაბალი ფასები თბილისის ფარგლებს გარეთ (შედარებით დაბალი სიჩქარის დონეზე) განპირობებული ხარჯების ფაქტორებით, რადგან

<sup>10</sup> იქვე., გვ. 58-59.

ოპტიკურ-ბოქკოვანი კაბელის განთავსება თბილისის ცენტრში შეიძლება უფრო ძვირი ღირდეს კილომეტრზე, ვიდრე რაიონებში. ან, არის თუ არა ეს იმით განპირობებული, რომ ზოგიერთ დაშორებულ ბაზარზე საშუალოდ დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობებია და ფასები ნაწილობრივ ამის საფუძველზე დგინდება? (ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევაა წარმოდგენილი მონაცემებში, რომელიც დაფიქსირებულია თბილისის ფარგლებს გარეთ და ეს არის მაგთიკომი 30 მბ/წმ-ის დონეზე და სილქნეტი 25 მბ/წმ-ის დონეზე).

ზოგადად, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ FTTH ფასები უფრო დაბალია არა-FTTH ანალოგებთან შედარებით. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მინიმუმ ამ უდიდეს ტექნოლოგიასა და სიჩქარესთან დაკავშირებულ სეგმენტში ბაზარი კონკურენტუნარიანია, რადგან FTTH ზოგადად უფრო ძვირი ტექნოლოგიაა FWA-ს ან DSL-თან შედარებით. ამის მიუხედავად, მისი ფასი კონკურენტუნარიანია.

## 1.5 ბაზრის სეგმენტაცია

ასოცირებს კვლევაში არ არის წარმოდგენილი ბაზრის ერთი ოფიციალური სეგმენტაცია. თუმცა, არაპირდაპირ, ორი შესაძლო სეგმენტის დადგენა მარტივად არის შესაძლებელი. ორივე დაფუძნებულია დასახლებებზე.

მათგან პირველი არის ის, რაც აღნიშნულია ზემოთ #1 ცხრილში. შინამეურნეობები, რომლებსაც აქვთ წვდომა ფიქსირებულ ფართობლოვან სერვისებზე, შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თუ რამდენი აქტიური ოპერატორია მათ ტერიტორიაზე - ნული, ერთი, ორი, სამი და მეტი. ან, შესაძლოა, ერთი და ორი ოპერატორის კატეგორიები გაერთიანდეს, რის შედეგადაც იქმნება სამი სეგმენტი - 4.9%, 18.7% და 76.4%.

აქ შეზღუდვა მდგომარეობს შემდეგში - „აქტიური ოპერატორები არ ნიშნავს, რომ ყველა შინამეურნეობას აქვს წვდომა ამ რაოდენობის ოპერატორზე. სინამდვილეში, შესაძლოა არც ერთ შინამეურნეობას არ ჰქონდეს წვდომა მათზე იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ორი ოპერატორი ემსახურება დასახლების სხვადასხვა ნაწილს. იმის შესაძლებლობაც კი, რომ ზოგიერთ შინამეურნეობას არ ჰქონდეს მზა წვდომა რომელიმე ოპერატორთან, არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.

სხვა პოტენციური სეგმენტაცია, კვლევის საბოლოო აქცენტის გათვალისწინებით, კერძოდ, FTTx ბაზარზე, არის ძირითადი კატეგორიების ნახვა, რომლსაც ის მოიცავს დაფარვის დონეზე. აქ აზრი აქვს იმ დასახლებების ან მოსახლეობის გამოყოფას, რომლებიც არ არის დაფარული FTTx ქსელებით (ანუ 15.3%) და შემდეგ კვლავ დანარჩენის გამოყოფას დაფარვის დონეებზე - მაგალითად, ერთი ან ორი აქტიური FTTx ქსელის ოპერატორის და სამი ან მეტი ოპერატორის მქონე.

მთლიანობაში, ბაზრის დომინირების განსაზღვრისას, როგორც ჩანს, გონივრული იქნება ფიქსირებული ფართობლოვანი სერვისის მიწოდების ყველა ფორმის განხილვა (მაგ., სიჩქარის გარკვეულ მინიმალურ დონეზე ზემოთ). თუმცა კვლევა ამას არ ითვალისწინებს და საქართველოში არსებული ფიქსირებული ფართობლოვანი ვარიანტების გამოსაყენებლად ფოკუსირდება მხოლოდ FTTx-ზე, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია ყველაზე ძვირადღირებულ ტექნოლოგიად საქართველოში არსებული ფიქსირებული ფართობლოვანი ვარიანტების გამოსაყენებლად. ეს ვარიანტებია FTTx, FWA და xDSL, სადაც ბოლო ორი საჭიროებს არსებითად ნაკლებ ხარჯებს.

DSL არის ტექნოლოგია, რომელიც აუმჯობესებს სპილენძის მავთულის ქსელის შესაძლებლობებს ისე, რომ მას შეუძლია, უზრუნველყოს ფართობლოვანი დონის მომსახურება. ეს არ გულისხმობს სრულიად ახალი ქსელის გაშვებას. მეორე მხრივ, FWA, როგორც წესი, გულისხმობს ახალი ქსელის ამუშავებას, ოღონდ არა კაბელების მიმაგრებას ყველა დამაკავშირებელ შინამეურნეობასთან, არამედ მიწის ქვეშ განთავსებას, რაც ძვირადღირებული პროცესია. ამის ნაცვლად, სიგნალი მოძრაობს ჰაერში სპექტრის

სიხშირების გამოყენებით, რაც მოითხოვს გადამცემების განლაგებას ახალ ან იჯარით აღებულ ბოძებზე და არა გამჭოლ კაბელებზე.

## 1.6 ბაზრის განსაზღვრა

საბოლოო ჯამში, მისი მიზნებისთვის, კვლევა ფოკუსირდება ფიქსირებული, ფართობოლოვანი კავშირის „მაღალსიჩქარიან“ ბაზარსა და მხოლოდ მის FTTx ნაწილზე. ეს, ჩვენი აზრით, არის დისკრეციული მიდგომები ბაზრისადმი რეალური საბაზრო თვალსაზრისით. ისინი ერთგვარად მართული არიან SMP ქცევის წინასწარ განსაზღვრულ ცნებითა და მის შეზღუდვასთან დაკავშირებულ წინასწარ განსაზღვრული მიზნით.

ფაქტობრივად, არსებობს ძლიერი არგუმენტი იმისთვის, რომ ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზარი განისაზღვროს, როგორც ერთიანი ტექნოლოგიებისა და სიჩქარის თვალსაზრისით. ეს აისახა, მაგალითად, ევროკავშირის მიერ Orange Spain/Jazztel-ის შერწყმის გამოკვლევაში, რომელთან მიმართებითაც „კომისიამ დაასკვნა, რომ ფიქსირებული ინტერნეტით წვდომის სერვისები საცხოვრებელი და მცირე ბიზნესის მომხმარებლებისთვის, მიუხედავად იმისა, მათი სიჩქარე ნაკლებია თუ მეტი 30 მბ/წმ-ზე და ასევე ამ სერვისების მიწოდებისთვის გამოყენებული ტექნოლოგიისა, ეკუთვნის იმავე შესაბამის საცალო ბაზარს.“<sup>11</sup> ანალოგიურად, კვლევის მიერ შესაბამისი ბაზრის განმარტება, როგორც „მაღალი სიჩქარის“ და შემდეგ „მაღალი სიჩქარის“ განმარტება, როგორც 10 მბ/წმ-ზე მეტის, რომელსაც კვლევა თავის მხრივ იყენებს იმის გასამართლებლად, რომ ფიქსირებული და მობილური ფართობოლოვანი ქსელის ერთიან ბაზრად არ განიხილავს, შეიძლება ჩაითვალოს დისკრეციულად.

შესაძლოა, 10 მბ/წმ ლიმიტი დაწესდა იმ ვარაუდით, რომ საქართველოში მხოლოდ 5G სერვისის ხელმისაწვდომობა გახდის მობილურ, ფართობოლოვან კავშირს უფრო კონკურენტუნარიანს ფიქსირებულ, ფართობოლოვან კავშირთან მაღალი სიჩქარით (10 მბ/წმ-ზე მეტი). თუმცა, 4G-ს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში, შეუძლია უზრუნველყოს ბევრად უფრო მაღალი სიჩქარე, ვიდრე 10 მბ/წმ. მაგალითად, ერთი წყაროს მიხედვით, 15 მბ/წმ-დან 90 მბ/წმ-მდე სიჩქარე „ტიპურია“ 4G-სთვის (და შესაძლებელია ბევრად უფრო მაღალი სიჩქარის მიღწევა - თითქმის 1 გბ/წმ-მდეც).<sup>12</sup> მეტიც, 5G-ის გავრცელება უკვე დაწყებულია, თუმცა კვლევა ვარაუდობს, რომ ის არ გამოჩნდება SMP-ის განსაზღვრის პროგნოზირების პერიოდში (ანუ სამი წლის განმავლობაში).

შესაბამისად, არსებობს საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული და ფართობოლოვანი ბაზარი უფრო ინტეგრირებულად დავინახოთ, ვიდრე ამას კვლევა გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირებული ფართობოლოვანი ტრაფიკი მცირდება, ხოლო მობილური ინტერნეტის ტრაფიკი სწრაფად იზრდება. საერთო ჯამში, ეს მიუთითებს ფართობოლოვანი ბაზრის ამ ორ „სეგმენტს“ შორის კონკურენციაზე - რაც საკმაოდ ინტენსიურია, რაც არ ჩანს ორი ბაზრის გამოყოფისას, როგორც ეს კვლევაშია.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ფოკუსირება მოხდეს FTTx-ით მიწოდებულ ფიქსირებულ ფართობოლოვან წვდომაზე ყველა ფიქსირებულ ფართობოლოვან ქსელთან შედარებით, დასაბუთების გარეშეა. ამის შედეგი არის განხილული ბაზრის ზომის შემცირება. ჩვენი აზრით, უფრო დაბალანსებული მიდგომა იქნება მთლიანობაში ფართობოლოვანი ბაზრის გამოკვლევა, რომელიც იზრდება რამდენიმე თვალსაზრისით, მათ შორის მასშტაბით, პროვაიდერების რაოდენობით და შესაძლებლობებით მომხმარებლებისათვის. ეს საშუალებას მოგვცემდა უფრო დაბალანსებული და ობიექტური მიდგომა გვექონოდა ბაზრის დინამიკისა და

<sup>11</sup> იხილეთ ევროკომისია, ბაზრის ანალიზისა და მნიშვნელოვანი ბაზრის ძალაუფლების შეფასება ევროკავშირის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების მარეგულირებელი ჩარჩოს მიხედვით, კომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი, ბრიუსელი, 2018 წ.

<sup>12</sup> მაგალითისთვის იხილეთ, Ken's Tech Tips, 2018 წლის 23 ნოემბერი.

პოლიტიკის მიზნების მიღწევის განსაზღვრისადმი - იქნებოდა ეს დაფარვისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, მრავალფეროვანი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ხელმისაწვდომობა თუ ინტერნეტით სარგებლობისა და ტრაფიკის ზრდა.

## 2. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) განსაზღვრა და მისი შედეგები

როგორ მოქმედებს ბაზრის განსაზღვრება SMP-ზე. დიდწილად ისე, როგორც ქვემოთ არის განმარტებული.

### 2.1 SMP ბაზრის განსაზღვრა

დაფარვის დონეების, ასევე მომსახურების მიწოდებაში (მათ შორის დაკავშირებული მომსახურებების), ფასებსა და სიჩქარეში, კონკურენციის ხარისხში (როგორც ეს ასახულია ოპერატორების რაოდენობაში დასახლებულ პუნქტებში) არსებული განსხვავებების გათვალისწინებით, ასოცირების კვლევა აკეთებს დასკვნას, რომ SMP-ის განსაზღვრის მიზნებისათვის, საქართველო უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთიანი ეროვნული ბაზარი. ეს არის კატეგორიული დასკვნა, თუმცა ჩანს წინააღმდეგობრივად, როდესაც განიხილება ბაზრის საბითუმო ასპექტები (შესაბამისი განხილვა ნახეთ სექციაში 2.3). უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ განვმარტავთ, ის არ ასახავს ბაზრის განსხვავებულ მდგომარეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ამავდროულად, კვლევა წყვეტს, რომ რელევანტური არის FTTx ბაზარი და არა უფრო ფართო ფიქსირებული ფართობლოვანი ბაზარი ან ფართობლოვანი მომსახურების ბაზარი, მათ შორის მობილური ფართობლოვანი კავშირი. როგორც ამას ქვემოთ განვმარტავთ, ჩვენი აზრით, ეს არ არის ბაზრის განსაზღვრის ერთადერთი და ყველაზე გონივრული გზა. ისევ და ისევ, ამას აქვს ბაზრის წინასწარ განსაზღვრული განმარტების ნიშნები, რომლებიც უფრო მეტად უწყობს ხელს მიზნობრივი ოპერატორების დადგენას და არ ეფუძნება საბოლოო მომხმარებლის არჩევანს ფართობლოვანი წვდომის მისაღებად ან ოპერატორის არჩევანს მსგავსი წვდომის მისაწოდებლად.

### 2.2 განსაზღვრის საფუძველი

შემდეგი, რასაც განვიხილავთ და ვაფასებთ, ეს არის ის საფუძვლები, რომელიც წინ არის წამოწეული ერთიანი ბაზრის შესახებ დასკვნის გამოსატანად. ჩვენ ვიწყებთ ოთხი წინაპირობით კვლევის ფარგლებში ერთიანი ბაზრის განსაზღვრისთვის.<sup>13</sup>

#### 1. ერთი და იგივე სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები მთელ საქართველოში

როგორც ჩანს, ეს რიტორიკული წინაპირობაა. თუ, მაგალითად, საქართველოს ბაზარი განისაზღვრა, რომ შედგება რამდენიმე განსხვავებული სეგმენტისგან, მაშინ ამ სეგმენტებზე შეიძლება, გამოყენებულ იქნას განსხვავებული რეგულაციები. ამიტომ, ეს „დასკვნა“ ხელახლა უნდა ფორმულირდეს, რადგან საქართველო ამ დროისთვის ერთი და იგივე რეგულაციებს იყენებს ეროვნული მასშტაბით.

ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგადად, ყველა ბაზარს აქვს ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო იქამდე, ვიდრე არ იქნება განსაზღვრული მნიშვნელოვანი განსხვავება სეგმენტების მიხედვით. ამ დროს, რეგულაციები - ან, სულ მცირე, პირობები, რომლითაც დაწესებულია რეგულაციები, ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს. ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს,

<sup>13</sup> იქვე., გვ. 73.

როგორც ერთიანი ბაზრის დასკვნის საფუძველად წარმოჩენა მეტყველებს ამ დასკვნების წინასწარ განსაზღვრაზე.

## *2. ერთი და იგივე ძირითადი ფიქსირებული ფართობლოვანი FWA პაკეტის ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით ერთნაირია*

ეს წარმოდგენილია, როგორც არსებული საბაზრო ძალის სუბიექტების (SMP) ერთიანი რეგულირების საფუძველი მთელ საქართველოში, როგორც სხვადასხვა ფასის გამოყენება ავტომატურად მიუთითებდა ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის არსებობაზე, რაც მოითხოვდა სხვადასხვაგვარად რეგულირებას, დაკავშირებულს SMP-სთან. სინამდვილეში, სხვადასხვა ფასი შეიძლება იყოს რაციონალური, ისევე როგორც ერთიანი ფასი.

ფასების დიფერენციაციის ერთ-ერთი საფუძველია სხვადასხვა შინამეურნეობასა თუ ინდივიდთან მიღწევისა და მომსახურების ღირებულება. მთლიანობაში, დანახარჯები, სავარაუდოდ, უფრო დიდი იქნება სასოფლო დასახლებამდე მისაღწევად, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს საშუალოზე მაღალი მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში (კონკრეტულად, კაბელის მიწისქვეშა განთავსება შეიძლება, მოიცავდეს უფრო დიდ ხარჯებს, მათ შორის სხვადასხვა სახის ნებართვებს, ვიდრე მიწისზედა დამონტაჟება სოფლის ტერიტორიებზე, მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში მანძილი გაცილებით დიდია).

კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს მომსახურებაზე მოთხოვნა სხვადასხვა ფასის პირობებში. რაც უფრო მეტად განსხვავდებიან პოტენციური აბონენტები, მით უფრო მეტად შეიძლება იზიდავდეს მათ სერვისი სხვადასხვა ფასებით. მოთხოვნის ცვალებადობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ჯინის კოეფიციენტი (ინდექსი), რომელიც ზომავს შემოსავლების უთანასწორობას მოსახლეობაში.<sup>14</sup> საქართველოს მაჩვენებელი - 34.2 - არის დიაპაზონის ქვედადან შუამდე ნაწილში, რომელიც ხვდება 20-60-იან დიაპაზონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ასახავს გარკვეულ უთანასწორობას, მაგრამ არც ისე მაღალ დონეს, როგორცაა მაგალითად სამხრეთ აფრიკის ინდექსის შემთხვევაში (ჯინი 63.0). ამავდროულად, საქართველოს მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია ევროკავშირის ქვეყნებში და ხვდება საბერძნეთსა და პორტუგალიას შორის. ეს მიუთითებს მოთხოვნის ცვალებადობის საშუალოზე მაღალ ხარისხზე მოსახლეობის სეგმენტებისა და სავარაუდოდ, გეოგრაფიული ზონების მიხედვით.

და ბოლოს, კონკურენცია არსებობს, როგორც ფაქტორი. სადაც მეტი კონკურენციაა, სტიმული შეიძლება იყოს ფასების შემცირება. მეორე მხრივ, ფასები შეიძლება იყოს უფრო მაღალი იმ ტერიტორიაზე, სადაც არ არის კონკურენცია.

რა ფაქტორები ხსნის საქართველოს ერთიან საფასო გარემოს? ხომ არ მიუთითებს ეს ერთიანი ბაზრის არსებობაზე ანალოგიური პირობებით მთელი ქვეყნის მასშტაბით? კვლევის მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ სულაც არ არის ასე, როგორც ეს შეჭამებულია წინა ქვეთავში. უფრო მეტად ეს შეიძლება იყოს ოპერატორების ვარაუდი, რომ მარეგულირებელი ჩარჩო მოითხოვს ერთიან ფასებს, მაშინაც კი, თუ ეს არ არის გამოკვეთილი წესი და რომ განსხვავებული ფასების არსებობამ სხვადასხვა სფეროში შეიძლება, გამოიწვიოს მარეგულირებლის ჩარევა, იმის მიუხედავად, ექნება თუ არა ამას მეტი ეკონომიკური აზრი.

## *3. ფასები გარკვეული ოპერატორების ფიქსირებული ფართობლოვანი კავშირის xDSL პაკეტებზე საბაზისო სიჩქარით, განსხვავდება თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის*

<sup>14</sup> იხილეთ ჯინის ინდექსი, მსოფლიო ბანკი (მონაცემები, worldbank.org), 2024 წ.

კვლევის 28 და 29 გრაფიკების მიხედვით, ფასების ეს განსხვავებები ასახავს სილქნეტისა და ნიუ ნეტის xDSL სერვისების შეთავაზებებს 2-5 მბ/წმ სიჩქარის არეალში. თბილისში ფასები უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონებში. ეს შესაძლოა, იყოს მოთხოვნაში არსებული სხვაობის ინდიკატორი, ვინაიდან სპილენძის კაბელების განთავსებაზე თბილისში განუვლმა ნებისმიერმა შედარებით მაღალმა ხარჯმა შესაძლოა, არ იქონიოს გავლენა ღირებულებაზე, მათი თავდაპირველი განთავსებიდან გასული დროის გამო (გარდა მიმდინარე მომსახურების დონისა). ამავდროულად გაურკვეველია, როგორ ან რატომ გამოიყენება ეს მახასიათებელი ერთიანი ეროვნული ბაზრის გასამართლებლად.

*4. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ოპერატორს აქვს სხვადასხვა დაფარვა, ბაზარზე არის მინიმუმ ერთი მაღალსიჩქარიანი ფართობლოვანი წვდომის პროვაიდერი (მაგთიკომი), რომელიც ყველაზე მეტ წილს ფარავს და არის სამი პროვაიდერი ეროვნული მასშტაბის დაფარვით, რომელიც შეიძლება მოემსახუროს ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის ძირითად ბაზარს (3 მობილური ქსელის ოპერატორი).*

ბოლო პუნქტში, კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ ერთი ოპერატორი (მაგთიკომი) ფარავს ბაზრის დიდ ნაწილს და სამი ოპერატორი (მობილური ოპერატორები, მაგთიკომის ჩათვლით) „შეიძლება მოემსახუროს ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის ძირითად ბაზარს“. ისევ და ისევ, გაუგებარია, თუ როგორ უკავშირდება ეს იმ დასკვნას, რომ „როგორც ძირითადი, ასევე უფრო მაღალი სიჩქარით ფიქსირებული საცალო ფართობლოვანი წვდომისთვის, გეოგრაფიული ბაზრის განმარტებები ეროვნულია“. ანალოგიურად, დასკვნა, რომ ფართობლოვანი წვდომა არის „ეროვნული“ ბაზარი, არ არის ძალიან დამაჯერებელი.

არის თუ არა ეს იმის მინიშნება, რომ თუკი არც ერთი ოპერატორი არ დაფარავს ბაზრის დიდ ნაწილს, SMP უნდა განისაზღვროს ცალკეული სეგმენტისთვის? და რას ნიშნავს მითითება მობილური ოპერატორებისთვის - მობილური ფართობლოვანი წვდომის ჩანაცვლება ფიქსირებულით? მაშინ რატომ არ განვიხილავთ ფიქსირებულ და მობილურ SMP-ის ერთად და არა სხვადასხვა ასოცირების კვლევის ფარგლებში, რომელიც იყო მომზადებული?

ზემოთ წარმოდგენილი აღწერის გათვალისწინებით საქართველოს ფიქსირებული მომსახურების ბაზრის შესახებ, საეჭვოა, აიდენტიფიცირებს თუ არა კვლევა რაიმე სახის „საბაზრო ჩავარდნას“. ამის მიუხედავად, კომისიის მითითებები ისევე, როგორც რეკომენდაციები 2020/2245 ნათელია ამ თვალსაზრისით - „საბაზრო ჩავარდნა“ გამოვლენის გარეშე არ უნდა იქნას მიღებული არანაირი ex-ante ზომები.<sup>15</sup>

## 2.3 ალტერნატიული SMP დასკვნები

მთლიანობაში, ფიქსირებული ფართობლოვანი ბაზრის საოპერაციო პარამეტრები საკმაოდ განსხვავებულია ამ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში, მათ შორის კონკურენციის ნაწილში. მინიმუმ, ბაზარი შეიძლება დაიყოს სამ სეგმენტად, მაგალითად, (1) ის, სადაც სამი ან მეტი ოპერატორი თანაარსებობს და კონკურენციას უწევს ერთმანეთს, (2) ორი კონკურენტი ოპერატორით და (3) მხოლოდ ერთი ოპერატორით.

<sup>15</sup> იხილეთ EECC-ის პუნქტები 154, 205; SMP-ის სახელმძღვანელოს მე-9, მე-12 და 23-ე პუნქტები; და კომისიის 2020/2245 რეკომენდაციის (EU) 17 პუნქტი, 2020 წლის 18 დეკემბერი, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების ბაზრების შესახებ, რომლებიც ექვემდებარება წინა რეგულაციას ევროპარლამენტის 2018/1972 დირექტივის (EU) 2018/1972 შესაბამისად. ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის დამფუძნებელი საბჭო).

ამ კონტექსტში, მაგთიკომს სამივე სეგმენტში უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. თუმცა, ხასიათი და კონტექსტი განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ბაზრის, როგორც ერთი მთლიანის განხილვას აზრი არ აქვს. ნაცვლად ამისა საჭიროა, დაისვას შემდეგი კითხვები: (1) დომინირებს თუ არა მაგთიკომი ან სხვა ნებისმიერი ოპერატორი რომელიმე ამ სეგმენტში და (2) არის თუ არა სხვა, შესაძლო, მაკომპენსირებელი პოლიტიკური შეხედულებები.

პასუხები ამ კითხვებზე ადვილი არ არის, თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ SMP-ის არსებობა რომელიმე ამ სეგმენტში აშკარაა. მაგალითად, თუკი SMP არსებობს, რატომ არ ახლავს მას ცალსახა განსხვავება ფასწარმოქმნის ნაწილში ან მომსახურების სხვა ასპექტებში (მაგალითად მომსახურების ხარისხში), როგორც ეს მოსალოდნელი იყო (მაგალითად შედარებით მაღალი ფასები მესამე სეგმენტში ან შედარებით დაბალი პირველში)? რაც შეეხება ბაზრის წილს, მაგთიკომის წილი შედარებით დიდია სხვების წილზე მესამე სეგმენტში (90%-ზე მეტი). ეს მიუთითებს, თუ საითკენ უნდა იყოს მიმართული SMP-ის ფოკუსი ანდა თუ როგორ უწყობს ხელს მაგთიკომი გაფართოებულ წვდომას ფიქსირებულ ფართობლოვან ინტერნეტზე საქართველოში?

ფაქტობრივად, დომინირების თვალსაზრისით მაგთიკომი არ სარგებლობს თავისი პოზიციით მონოპოლიასთან ახლოს მდებარე ამ სიტუაციაში. ის ფაქტი, რომ ის არ ზრდის ფასს (თუნდაც ზოგიერთი და არა ყველა აბონენტისთვის), მიუთითებს სხვა რამეზე. ამავდროულად, შედარებით მაღალი ფასები შესაძლოა, განპირობებული იყოს საშუალოზე მაღალი კაპიტალური დანახარჯით ერთ აბონენტზე, რაც სავარაუდოდ, საჭიროა შედარებით მოშორებული სასოფლო დასახლებების მომსახურებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკის თვალსაზრისით, მაგთიკომი ფაქტობრივად ეხმარება მთავრობას, საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მოწინავე კომუნიკაციები.<sup>16</sup>

რაც შეეხება დანარჩენ ორ სეგმენტს, რთულია პირველ სეგმენტში SMP მივაწეროთ მაგთიკომს, კონკურენციასთან დაკავშირებული მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგთიკომი თბილისში არამართო სილქნეტს, არამედ ახალ ქსელებს, გლობალ ერთს, ნიუნეტს, სქაიტელს და სხვებსაც უწევს კონკურენციას. ჩვენ ასევე აღვნიშნავთ, რომ თუკი მაგთიკომი მძაფრ კონკურენციას აწყდება თბილისში და ხელს არ უშლის კონკურენტებს - ანდა ცალკეულ ოპერატორებს ტერიტორიებზე, სადაც დღემდე არ ყოფილა მსგავსი ოპერატორი - ამგვარ მოცემულობაში ბაზარზე შესვლით და 53%-ის დაკავებით, SMP-ის არსებობა აზრს კარგავს. ყოველ შემთხვევაში ბაზრის 10%-ზე მეტი, სადაც ის ერთადერთი მომწოდებელია უნდა გამოირიცხოს 53%-იანი სავარაუდო დომინირების მაჩვენებლიდან, ვინაიდან კვლევაში არანაირი მითითება არ არის იმაზე, რომ სეგმენტიდან სხვა მონაწილეების გამოთიშვა მოხდა მაგთიკომის მიერ.

ასევე არ არის აღიარებული დაფარვის უპირატესობები, რომლებსაც მაგთიკომი უზრუნველყოფს ქსელების გაფართოებით საქართველოს უფრო შორეულ სოფლებში. ვარაუდი, რომ ეს ასახავს მის დომინირებას, შორს არის მართებული მოსაზრებისგან. რატომ გააფართოვებს დომინანტი ოპერატორი თავის ძვირადღირებულ ქსელს ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც ქსელის გამართვა, სავარაუდოდ, უფრო ძვირია, ვიდრე უფრო მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, განსხვავებით მსხვილი ქალაქებისგან, ვინაიდან მოთხოვნა უფრო სუსტია, იმის

<sup>16</sup> ელექტრონული კომუნიკაციების პოლიტიკის პირველი მიზანი, როგორც აღნიშნულია საქართველოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში (2005 წ.) „უნდა იყოს ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მიმართ და ხელი შეუწყოს ინფორმაციის ბაზაზე დაფუძნებულ საზოგადოების განვითარებას.“ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ „ფიზიკური პირები“ გულისხმობს ყველა პირს საქართველოში, როგორც ხაზგასმულია მე-2 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკის განხორციელებისას მიზანი უნდა იყოს „ფიზიკურ პირთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა...“



გათვალისწინებით, რომ სოფლებში შინამეურნეობების შემოსავალი დაბალია. აღვნიშნავთ, რომ 2016 წელს მაგთიკომის ფიქსირებულ ბაზარზე შესვლამდე FTTx-ზე დაფუძნებული ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო 343 დასახლებაში. 2023 წლისთვის ის გაფართოვდა 880 დასახლებამდე<sup>17</sup> და მომსახურებას უწევდა 965,911 აბონენტს (მონაცემები ეფუძნება ინფორმაციას 10-ზე მეტი აბონენტის მქონე დასახლებების შესახებ, რომელიც მოწოდებულია მარეგულირებელი კომისიის მიერ).

და ბოლოს, არსებობს ბაზრის საშუალო სეგმენტის საკითხი. მითუმეტეს, რომ ამ „საშუალო“ სეგმენტშიც კი, როგორც კვლევის ფასწარმოქმნის შეფასებაშია მითითებული, არ არის უბრალოდ მაგთიკომი-სილქნეტის-ის დუოპოლია. ამ სეგმენტის ზოგიერთ ნაწილში, FTTH ბაზარზე აღნიშნული ოპერატორები ასევე აწყდებიან ახალი ქსელების, ნიუ ნეტსა და სქაიტელს, ასევე სხვა კონკურენტებს, როგორებიც არიან გლობალ ერთი და აილინკი, ასევე 80 სხვას FWA-ის ნაწილში. ფაქტობრივად, ვვარაუდობთ, რომ კონკურენცია აქ უფრო მეტია, ვიდრე ევროკავშირის იმ ბაზრებზე, სადაც შემოსავალი დაბალია.

როგორც კვლევა დროდადრო ვარაუდობს, ასევე არსებობს მობილური ფართობლოვანი ქსელის ჩანაცვლების შესაძლებლობა, სადაც სელფი სთავაზობს მომსახურების კიდევ ერთ ვარიანტს თბილისის გარეთ მდებარე მზარდ რაიონებში.

### 3. მოსაზრებები საბითუმო ბაზრის შესახებ

კვლევის გადასვლა ბაზრის საბითუმო დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაზისო ბაზრის განმარტებით, როგორც ქვემოთ გვაქვს მითითებული. ამისგან განსხვავებით, საბითუმო ბაზარი, რომელიც მოიცავს კონკურენციას ფიქსირებულ უკაბელო წვდომაზე, რომ არაფერი ვთქვათ უკაბელო მობილურ კავშირზე, არამხოლოდ მეტ კონკურენტს მოიცავდა, არამედ ასევე შესთავაზებდა ე.წ. Backbone networks-ის მეტ ვერსიას.

#### 3.1 მომავალზე ორიენტირებული შეფასება

ფიქსირებული სერვისების კონტექსტში საბითუმო წვდომის სამწლიანი, მომავალზე ორიენტირებული შეფასების უზრუნველყოფისას, კვლევა რამდენიმე პუნქტს მოიცავს:

- იგი აღნიშნავს პროგრესს, რომელიც მიღწეულია სატელეკომუნიკაციო არხებთან მიმართებით. ასეთი წვდომის რეგულირებით (დღემდე მხოლოდ ტელეკომის პროვაიდერებთან მიმართებით), ბაზრის ახალ მონაწილეებს საშუალება მიეცათ, უფრო ადვილად შეემუშავებინათ თავიანთი ქსელები და სერვისები. მეორე მხრივ, სპილენძის წყვილებზე (copper pairs) წვდომა არ არის უზრუნველყოფილი ალტერნატიული ოპერატორების მიერ, რაც მიუთითებს რეგულირების აუცილებლობაზე.<sup>18</sup> (სხვათა შორის, მაგთიკომი არ უზრუნველყოფს ფიქსირებულ ფართობლოვან ქსელს xDSL-ის საშუალებით და არ მუშაობს სპილენძის წყვილის მოწყობილობებზე, ასე რომ, სავარაუდოდ, არ იქნება ასეთი რეგულაციების სამიზნე).
- მიუხედავად იმისა, რომ არანაირი რეგულაცია არ შეუშლის ხელს, ის არ ელოდება, რომ „მნიშვნელოვანი ახალი მოთამაშეები შევლენ საცალო, უფრო მაღალი სიჩქარის მქონე ფართობლოვანი წვდომის ბაზარზე FTTx ქსელის მეშვეობითა და მნიშვნელოვანი დაფარვით...[რადგან] ასეთი ქსელების შექმნა მოითხოვს დიდ ინვესტიციებს მუდმივი, მაღალი აუნაზღაურებელი ხარჯებით არსებული მოთამაშეების გამოწვევის მიზნით“.
- ის ასევე არ ელის, რომ „საქართველოში უკვე მოქმედი [სხვა] მოთამაშეები განახორციელებენ ინვესტიციას თავიანთი [FTTx] დაფარვის გასაფართოვებლად, რათა

<sup>17</sup> ComCom-ის მონაცემებზე დაყრდნობით დასახლებების ათზე მეტი აბონენტისთვის.

<sup>18</sup> იქვე., გვ. 78.

ეფექტურად გაუწიონ კონკურენცია მაგთიკომსა და სილქნეტს“. ეს მოთამაშეები ფლობენ ბაზრის მცირე წილებს და "ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი განახორციელებენ ასეთ მაღალ ინვესტიციებს ორი უმსხვილესი მოთამაშის გამოწვევის მიზნით".

- ანალოგიურად, იგი ამტკიცებს, რომ „მაღალი ინვესტიციების და ეროვნული ქსელის გამართვისთვის საჭირო მნიშვნელოვანი დროის გამო, ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც საქართველოში ამჟამად არ ოპერირებს FTTx ქსელების მიმართულებით, მაგრამ აქვს სხვა ქსელები (მაგალითად, სელფი)“ [ნაკლებ სავარაუდოა, რომ] გადავიდეს FTTx-ზე და მოახდინოს ზეწოლა ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის საცალო სეგმენტში უფრო მაღალი სიჩქარის მომსახურების მიწოდების გზით.
- თუნდაც მოსალოდნელი „ახალი სამართლებრივი და მარეგულირებელი ზომების გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების სტიმულირებას ფართობლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შემცირებით“, „ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ნაბიჯი გამოიწვევს ახალი და გაფართოებული FTTx ქსელების მნიშვნელოვან ზრდას სამი წლის განმავლობაში, რომელსაც მოიცავს მოცემული ანალიზი.“<sup>19</sup>

კვლევის თანახმად, მაგთიკომი შეინარჩუნებს დომინირებას FTTx ბაზარზე და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვან კონკურენციას წააწყდება სხვებისგან, გარდა და სილქნეტისა, რომელთან ერთადაც ის „უარყოფს...საბითუმო წვდომას თუ ამის საჭიროება იქნება, და დააწესებს გადაჭარბებულ საცალო ფასებს საბოლოო მომხმარებლებისთვის“. ამ პროცესში ორივე ოპერატორი მხარდაჭერილი იქნება მათი „კარგად განვითარებული ორგანიზაციებით გაყიდვებისა და მხარდაჭერის მიმართულებით“<sup>20</sup>.

### 3.2 ალტერნატიული შეფასებები

კვლევა აზუსტებს, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში, ეროკავშირში NRA-ები (მაგალითად, რუმინეთის NRA) არ თვლიან, რომ მასობრივი ბაზრის ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის სერვისები (ხელმისაწვდომია როგორც მობინადრეების, ისე ბიზნესის სფეროს საბოლოო მომხმარებლებისთვის) ცალკეულ ბაზრებს წარმოადგენს. მასობრივი ბაზრის ფარგლებში, ზოგჯერ არსებობს მომსახურების უკეთესი რეაგირების ვარიანტები (მაგალითად, მიწოდების უფრო სწრაფი დრო და გაუმართაობის აღდგენა) ...“<sup>21</sup>

გარდა ამისა, დიაგრამა 6-ზე მითითებულია, რომ „FTTx ქსელების სხვა ტექნოლოგიებით გადაფარვა“ ილუსტრირებულია იმით, რომ საქართველოში 3,605 დასახლებული პუნქტიდან 2,611 დასახლება არ არის დაფარული FTTx ტექნოლოგიით ან სერვისით.<sup>22</sup> ეს არის დასახლებების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ჯერ ისევ არ იქნება განხილული SMP-ის განმარტების სცენარში. ამასთან, 3,605 დასახლებიდან 639 დაფარულია როგორც FTTx, ასევე FWA ტექნოლოგიით.

თუ FWA გამოიყენება FTTx ტექნოლოგიასთან ერთად, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას აქვს გარკვეული უპირატესობები (ღირებულებით თუ არა სხვა პირობებით) ზოგიერთი ოპერატორისთვის და მეტყველებს იმაზე, რომ ბაზარი სარგებლობს პარალელური

<sup>19</sup> ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აქ მინიშნება არის საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების ფართობლოვანი განვითარების სტრატეგიაზე, რათა ხელი შეუწყოს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გავრცელებას. ეს სტრატეგია მოიცავს პასიური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონის მიღებას, ასევე სოფლად და არამომგებიან მდგომარეობაში რეგიონებში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გავრცელების დაფინანსებას Open Net-ის მიერ.

<sup>20</sup> ციტატები ზემოთ მოყვანილ პუნქტებში და აქ მომდინარეობს იმავე ციტირებული ნაშრომიდან., გვ. 78 და 79.

<sup>21</sup> კვლევა, გვ. 46.

<sup>22</sup> იქვე., გვ. 39 (გრაფიკი 6).

ინვესტიციებით ორივე ტექნოლოგიაში, თუნდაც ერთი და იმავე დასახლებაში. მთლიანობაში, შეგროვილი მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია შეზღუდულია და FTTx ტექნოლოგიაზე ფოკუსირება საკმარისად არ არის ახსნილი. კვლევის ერთ-ერთი ქვეთავის დასახელება, „ტექნოლოგიების გადაფარვა“ (ნაწილი 3.1.3.2) ვარაუდობს, რომ რამდენიმე ტექნოლოგია წარმოადგენს შესწავლილი ბაზრის საფუძველს.

ამავდროულად, კვლევის ავტორებმა არ განიხილეს საქართველოში FTTx-ის განვითარებასა და ფართო ხელმისაწვდომობაზე გავლენა იმ შემთხვევისთვის, SMP შეზღუდვები ადრე რომ დაწესებულიყო. მიაღწევდა თუ არა ოპტიკურ-ბოჭკოვან, ფართობლოვან ქსელზე გამოწერები მაღალ მაჩვენებელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ მომხდარა ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებულ არც ერთ ქვეყანაში, სავარაუდო მარეგულირებელი რისკებით, რომელიც ორიენტირებულია SMP-ზე? (ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს დონე დაახლოებით სამჯერ აღემატება FTTx გამოწერის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც მიღწეულია ევროკავშირის ქვეყნებში და უფრო მაღალია ვიდრე ევროკავშირის FTTx ლიდერების - განსაკუთრებით ესპანეთის, ლიტვის, შვედეთისა და რუმინეთის შემთხვევაში).

ანალოგიურად, კვლევა არ განიხილავს ფაქტორების ერთობლიობას, რაც ხელს შეუწყობს ფართობლოვანი წვდომის გაფართოებას, როგორც ეს ასახულია სამხრეთ კორეის შემთხვევაში და წარმოადგენს წამყვან მაგალითს მსოფლიოში ფიქსირებული, ფართობლოვანი წვდომის გამოყენების წამყვან მაგალითს (ნახეთ ცხრილი ქვემოთ). როგორც მაგალითშია შეჯამებული, ჩართულია როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ფაქტორები. სინამდვილეში, მოთხოვნის ასპექტებმა შესაძლოა, გადაწონოს მიწოდების ასპექტები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ SMP-ის განსაზღვრა თანამედროვე კონტექსტში უნდა მოიცავდეს ოპერატორების ვიდრე პროგრამებზე ან სოციალურ მედიაზე და სხვა აპლიკაციებზე (ან მათ პროვაიდერებზე, როგორცაა Google, Facebook, TikTok და სხვებზე) წვდომის შეფასებას.

## ცხრილი 2: კორეის ფართობლოვანი განვითარების შემთხვევის შესწავლა

სამხრეთ კორეა მსოფლიო ლიდერია ოპტიკურ-ბოჭკოვანი, ფართობლოვანი კავშირებით (2022 წელს შინამეურნეობების 88% OECD-ის მიხედვით, ასეთია სტატისტიკა). ეს გამოწვეულია მიწოდების მხარის სუბსიდიებისა და წახალისების, ასევე მოთხოვნის ფაქტორების და მთავრობის მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯების შედეგად. ფაქტობრივად, სამხრეთ კორეის მსოფლიოში წამყვანი პოზიცია შინამეურნეობების ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით გაჩნდა 2000-იანი წლების დასაწყისში, იმ დროს, როდესაც კორეა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა სხვა განვითარებულ ეკონომიკებს მშპ-ით ერთ სულ მოსახლეზე.

მაშინ როგორ იქნა მიღწეული წამყვანი პოზიცია, რომელიც მოიცავდა ძალიან მაღალ საშუალო მახასიათებელს მონაცემთა გადაცემის სიჩქარის თვალსაზრისით? ანალიზის ძირითადი ნაწილი მივიდა დასკვნამდე, რომ ამ წარმატების მაპროვოცირებელი მთავარი ფაქტორები დაკავშირებული იყო მოთხოვნასთან, მოსახლეობის სიმჭიდროვესა და სუბსიდირებასთან ფართობლოვანი წვდომის უზრუნველსაყოფად. თუმცა ამ შემთხვევის შესწავლით, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში მოხდა, მივდივართ დასკვნამდე, რომ კორეის წარმატების უმთავრესი ფაქტორები იმდენად იყო მოთხოვნით გამოწვეული და მაკროეკონომიური, რამდენადაც მიწოდებაზე დაფუძნებული.

ამ პროცესში ჩვენ გამოვიკვლიეთ და გავაანალიზეთ კორეის მთავრობის მიერ განხორციელებული მრავალი პროგრამა (10-ზე მეტი) ფართობლოვანი წვდომისა და სუბსიდიის წახალისებლად, ასევე ინდუსტრიული სტრატეგიის ასპექტები, რეგულირება (ინტერმოდალური და ინტრამოდალური კონკურენციის ხელშეწყობა), მოსახლეობის სიმჭიდროვე და მოთხოვნის ფაქტორები. მათ შორის ინტერაქტიული ვიდეო-თამაშებისა და ონლაინ კოლეჯის ტესტის მოსამზადებელი პროგრამების როლი, ისევე როგორც ახალგაზრდობაზე ორიენტირებული კორეის მოსახლეობის განათლების მაღალი დონე

(საშუალოდ უფრო მეტი სასკოლო წელი, ვიდრე იაპონიაში, შვედეთსა ან შეერთებულ შტატებში).

მივედით დასკვნამდე, რომ მომხმარებელთან დაკავშირებულმა ფაქტორებმა შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მთავრობის სუბსიდიებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა მრავალსართულიანი სახლებისა და ცალკეული რაიონების წვდომის უზრუნველყოფას, მნიშვნელოვნად განაპირობა სამხრეთ კორეის წამყვანი პოზიციის მიღწევა შინამეურნეობების ფართობლოვანი წვდომის უზრუნველყოფის პროცესში. კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენდა სამომხმარებლო კრედიტის გაფართოება აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ 1990-იანი წლების ბოლოს. კიდევ, კოლექტებში სასწავლებლად ონლაინ მოსამზადებელ კურსებზე არსებული მაღალი მოთხოვნა, რასაც აკმაყოფილებდა ფართობლოვანი კავშირი, ასევე მოთხოვნა ვიდეო-თამაშებზე.

*წყარო: Kalba International, Inc., 2023*

კვლევაში არ არის დასმული კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ ასახავს საქართველოში FTTx-ის განვითარების დონე დიდწილად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს და მეტად არ მოდის შესაბამისობაში FTTx-ის მიღების ხარისხთან, როგორც ეს არის ბულგარეთის შემთხვევაში (დაახლოებით 58%).<sup>23</sup> საპირისპიროდ შეიძლება დაისვას კითხვა მიგვიყვანს თუ არა SMP-ზე დაფუძნებული რეგულირება ანდა მისი დანერგვის მცდელობა FTTx-ზე ხელმომწერების რაოდენობის ზრდამდე, ასევე FTTx ქსელების და მათთან დაკავშირებული მოცულობის გაუმჯობესებამდე, ხარისხსა და გავრცელებამდე შემდგომ წლებში, ან პირიქით, სტაგნაციამდე.

ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მოსალოდნელი სცენარია სტაგნაცია, ვინაიდან შემუშავებასთან დაკავშირებული შეკითხვები და პროცედურები, ახალი რეგულირების გასაჩივრება და/ან დანერგვა ზრდის გაურკვევლობას მაგთიკომის, სილქნეტისა და სხვა ოპერატორებისთვის საკუთარ FTTx ქსელებში დამატებითი რესურსების ჩადებასთან და ასევე დაკავშირებულ ოპერაციებთან მიმართებით. გარდა ამისა, ნაკლებ სავარაუდოა რომ ბაზარზე შემოვა მნიშვნელოვანი ახალი მოთამაშე, მსგავსი გაურკვევლობის გათვალისწინებით, რომ არაფერი ვთქვათ მშპ-ის დონესა და ქართული ბაზრის შეზღუდულ მასშტაბზე.

### 3.3 საბითუმო ბაზართან დაკავშირებით შემოთავაზებული ნაბიჯები

კვლევა აღიარებს, რომ „კონკურენტი FTTx ქსელების ამუშავებას დასჭირდება დრო და ეს გავლენას არ მოახდენს ბაზრის ანალიზისთვის განსაზღვრულ დროზე.“<sup>24</sup> შედეგად შემოთავაზებულია „last mile“-ის არსებული ლოკალური წვდომის უზრუნველყოფა საბოლოო მომხმარებლებამდე“. მსგავსი წვდომა, კვლევის განმარტებით, „შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მომსახურების საცალო მომწოდებლის მიერ საკუთარი ინფრასტრუქტურით ანდა ერთი ან რამდენიმე საბითუმო შეთავაზებით ოპერატორებისგან, რომელთაც აქვთ ფიზიკური ქსელი ადგილზე, სადაც მოთხოვნილია საბოლოო მომხმარებლის მომსახურება“.

კვლევა დასძენს, რომ „ამ ტიპის ‘ცალკეული ადგილობრივი წვდომის’ საბითუმო შესაძლებლობა ფართოდ იქნა გამოყენებული ევროკავშირში (მაგალითად, ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომისთვის xDSL-ის საშუალებით)“. თუმცა, xDSL-ი, როგორც თავად კვლევამ აღიარა, არ არის შემოთავაზებული მაგთიკომის მიერ. უფრო მეტიც, ფიქსირებულ LTE-სთან ერთად, „xDSL... ფიქსირებული ფართობლოვანი კავშირების საერთო რაოდენობის მხოლოდ 2%-ს იკავებს“<sup>25</sup>. უფრო მეტიც, ევროკავშირშიც კი (როგორც ასახულია კვლევის 22-ე გრაფიკში), ბაზარი, რომელსაც xDSL ემსახურება, სწრაფად იკლებს. როგორც

<sup>23</sup> იქვე., იხილეთ გრაფიკი 55-ე გვერდზე ევროკავშირის ქვეყნების FTTP გამოწერის დონისთვის.

<sup>24</sup> იქვე., გვ. 82; ეს ასევე ეხება სხვა ციტატებს ამ გვერდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

<sup>25</sup> იქვე., გვ. 53.

ჩანს, კვლევა გვთავაზობს არა საქართველოს მომავალი ბაზრის შესაბამის გამოსავალს, არამედ გადაწყვეტას ევროკავშირის წარსულის მაგალითზე.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ კვლევა ასევე არ მოითხოვს არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ის ამას ძირითადად იმ მოტივით აკეთებს, რომ ასეთი წვდომის არარსებობის შემთხვევაში ახალ მონაწილეს დასჭირდება მნიშვნელოვანი ინვესტიცია და დრო, რათა შექმნას საკუთარი მაგისტრალური და last-mile-ის ქსელები. შესაბამისად, კვლევა მოუწოდებს არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორებს, გახსნან წვდომა თავიანთ ობიექტებზე რამდენიმე დონეზე, ადგილობრივიდან მსოფლიო ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფამდე. ამის ძირითადი საფუძველი დროსა და ინვესტიციაში მდგომარეობს, ასევე მასშტაბის ეკონომიაში, რომლისგანაც მოგებული რჩებიან ქსელის არსებული ოპერატორები განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობენ ეროვნული ან თითქმის ეროვნული მასშტაბის ქსელებს.

მოცემული შეთავაზება გულისხმობს, რომ ახალ მონაწილეს შეეძლება უზრუნველყოს საბოლოო მომხმარებლებისთვის FTTx-ის ალტერნატიული ოფციების მიწოდების საოპერაციო ასპექტები. შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ სწორედ აქ კვლევა ასახავს შეზღუდულ ხედვას იმისა, რაც საფუძველში უდევს ფართობლოვანი ან სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების წარმატებით მიწოდებას. მაგალითად, აუცილებელი საოპერაციო რესურსები და უნარები დამოკიდებულია მასშტაბის ეფექტსა და საბაზრო მოთხოვნის შეზღუდვებზე.

როგორც კვლევა აღნიშნავს, მაგთიკომსა და სილქნეტს აქვთ „კარგად განვითარებული გაყიდვებისა და მხარდაჭერის ორგანიზაცია[ები].“<sup>26</sup> ამას დამატებული პერსონალი, რომელიც ახორციელებს მარეგულირებელ ფუნქციას, უზრუნველყოფს მომხმარებელზე ზრუნვას, დაფინანსებას, სატელევიზიო პროგრამაზე წვდომას კომპლექტური სერვისების მიწოდებისთვის და ფართობლოვანი ქსელების და მასთან დაკავშირებული სერვისების გაშვებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მართალია ახალბედები თანდათანობით გაზრდიან ამ ფუნქციებს, თუმცა რეალურად მათი ერთეული ხარჯები იქნება მაღალი შედარებით დაბალი მასშტაბის პირობებში, შეზღუდული მსყიდველობითი უნარისა და მასშტაბის გათვალისწინებით. ისევე როგორც მათი ფინანსური დანახარჯები (და მასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთები) გაფართოების შემდეგაც, ვინაიდან არ ექნებათ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც იქნებოდა გარანტია მათი კრედიტების უზრუნველსაყოფად.<sup>27</sup>

მოთხოვნის მხრივ, ახალ ოპერატორს ასევე შეექმნება დაბრკოლებები, თუნდაც მოკლევადიან სარეკლამო ხარჯებთან დაკავშირებით. მათ შორის იქნება:

- მარკეტინგული მდგრადობის არქონა და ცნობადობის ნაკლებობა
- ეკონომიკისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შეზღუდული ბაზარი
- მოსახლეობის ზრდის ტემპის კლების გრძელვადიანი ტენდენცია (-0.5% 2022 წელს) და

<sup>26</sup> იქვე., გვ. 79.

<sup>27</sup> კვლევა აღიარებს ამ სესხზე შეზღუდვას ახალი ოპერატორებისთვის გვ. 96-97 როდესაც ის აცხადებს: “სასესხო დაფინანსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევია მცირე ფირმებისთვის, შესაბამისი უზრუნველყოფის ნაკლებობა, როგორც წესი, არის ფირმის უუნარობის ნაწილი შესაბამებოდეს საბანკო სექტორის მოთხოვნებს. საქართველოში კაპიტალის ალტერნატიული ბაზრებით დაფინანსება ჯერ არ არის განვითარებული. ნებისმიერ ადგილობრივ დაფინანსებას, როგორც წესი, უფრო მაღალი კომერციული სასესხო განაკვეთები ექნება, ვიდრე ევროკავშირში, ამიტომ ითვლება, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი შესვლის ბარიერია ახალი ინვესტიციებისთვის საქართველოში.

– ინტერნეტის მომხმარებელთა კლება 2020 წლიდან.<sup>28</sup>

ეს არ არის ტენდენციები, რომელიც მხარს უჭერს ახალი მოთამაშეების პერსპექტივებს გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გაერთიანდნენ სხვა სუბიექტებთან შესაბამისი რესურსებით (მაგ. კომუნალურები, საცალო ქსელები).

მიუხედავად ამისა, კვლევა ვარაუდობს, რომ ახალმა მოთამაშეებმა, შესაძლოა, MVNO-ებთან ერთად, შეძლონ კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავება. თუმცა, როგორც წინა ანგარიშში დავაფიქსირეთ, MVNO-ის მდგრადი სიცოცხლისუნარიანობის შანსები ისეთი ეკონომიკის პირობებში, როგორიც არის საქართველო, დაბალია და გამოწვევები ახალი მოთამაშეებისთვის, რომლებსაც აქვთ მცდელობა გახდნენ მესამე ეროვნული ფიქსირებული ფართობლოვანი ოპერატორი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.<sup>29</sup> მაღალი შემოსავლის მქონე და უფრო მზარდ ბაზრებზე, როგორებიცაა ჰონგ-კონგი და ისრაელი, რომელთა შემთხვევებიც ჩვენ შევისწავლეთ, ჩამორჩენა MVNO-ზე წვდომის დამყარებისას და რამდენიმე ფუნქციონირებადი MVNO-ის შექმნისას შეადგენდა 5-დან 10 წლამდე. ჩამორჩენა ახალ მონაწილეებს შორის, რომლებიც სთავაზობენ საკუთარ საშუალებებს ფართობლოვან ინტერნეტთან დაკავშირებისთვის, ვისი საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯებიც უფრო მაღალია, ვიდრე MVNO, მაღალი ალბათობით საკმაოდ დიდი იქნება. ამის მიუხედავად, კვლევა არ გვთავაზობს მსგავს “პროგნოზებს” სამომავლოდ.

### 3.4 საბითუმო ბაზრის განმარტება

ისევე როგორც საცალო ვაჭრობის შემთხვევაში, კვლევა აკეთებს დასკვნას, რომ საბითუმო წვდომის ბაზრის მასშტაბი ეროვნულია. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის აღწერა მიუთითებს საკმაოდ განსხვავებულ სეგმენტებზე, მათ შორის ისეთებზე, სადაც არის ორი ძირითადი FTTx ქსელი, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასეთი ქსელი, ან ასევე სხვა ფართობლოვანი სერვისის ქსელი ან კიდევ მხოლოდ სხვა ფართობლოვანი ქსელები (ანუ არც ერთი ძირითადი FTTx ქსელი არ არის) და ისეთი, სადაც არც ერთი ფიქსირებული ოპერატორი არ უზრუნველყოფს ფართობლოვან წვდომას (გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვაგვარი ცვლილებები, თუ განიხილება ერთი ან მეტი მობილური ფართობლოვანი ოპერატორის არსებობა, მათ შორის დამოუკიდებელ მფლობელობაში მყოფი სელფი).

ამის მიუხედავად, ძირითადი ფიქსირებული კავშირის ბაზართან მიმართებით, არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი საბითუმო ბაზრის დაყოფისთვის სამ ან მეტ სეგმენტად. ეს სეგმენტები გააერთიანებდა (1) ტერიტორიებს, სადაც არის ფართობლოვანი წვდომის მხოლოდ ერთი ოპერატორი, (2) ტერიტორიებს ორი ასეთი ოპერატორით და (3) ტერიტორიებს სამი ან მეტი ოპერატორით. მოსალოდნელია, რომ ეს ტერიტორიები გარკვეული დოზით დაფუძნებული იქნება იმაზე, თუ რამდენი ოპერატორი დაექვემდებარება მოთხოვნებს საბითუმო მიწოდებასთან დაკავშირებით, თუ ასეთი მოთხოვნები იმოქმედებს.

მიუხედავად ამისა, კვლევა ამტკიცებს ერთი ბაზრის განმარტებას. იგი ამას აკეთებს შეზღუდული მტკიცებულებით იმის შესახებ, რომ არსებობს ერთიანი ეკვივალენტური საბითუმო ბაზარი, სუბიექტების რაიმე კონკრეტულ შემთხვევებზე ყოველგვარი მითითების გარეშე, რომლებსაც სურთ ასეთი წვდომის უზრუნველყოფა და ასევე რაიმე ალტერნატივის აშკარა განხილვის გარეშე. იგი აკეთებს დასკვნას: „მაშასადამე, ბაზარი ხასიათდება [საკმარისი საფუძვლის გარეშე] შესვლის მაღალი და გარდამავალი ბარიერებით ქსელის ძალიან დიდი

<sup>28</sup> იხილეთ მონაცემთა პორტალის ანგარიში საქართველოში მოსახლეობისა და ინტერნეტის მომხმარებელთა ტენდენციები, 2023წ.

<sup>29</sup> იხილეთ შპს ბიდიო და Kalba International, Inc., *MVNOs წარდგენა საქართველოში—რეალობის შემოწმება*, ივნისი 2020.

ზომის, დასახლებებისა და შინამეურნეობების არსებული დაფარვისთვის აუცილებელი ინვესტიციების გამო.”<sup>30</sup>

## 4. საბითუმო ბაზრის SMP-ის განსაზღვრა

განვიხილავთ კვლევის SMP-ის განსაზღვრას საბითუმო დონეზე, რაც მოიცავს ჩვენს შეფასებას ამ განსაზღვრის საფუძვლების შესახებ, ისევე როგორც ერთიანი ეროვნული ბაზრის მიდგომის შეზღუდვებს, რაც ასახულია კვლევისა და კომუნიკაციის კომისიის მიდგომაში SMP რეგულირებისადმი ბაზრის სხვადასხვა ქვეჯგუფებში.

### 4.1 SMP-ის განსაზღვრის საფუძვლები

სამი კრიტერიუმის გამოყენებისას საბითუმო წვდომის ბაზარზე (იგულისხმება ზოგადად, ისევე როგორც კონკრეტულად საქართველოსთვის), კვლევა აკეთებს დასკვნას, რომ პირველი კრიტერიუმი, შემოსვლაზე დაბრკოლებების არსებობა, დაკმაყოფილებულია იმის საფუძველზე, რომ „საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური წვდომის ბაზრებს ახასიათებს შესვლის მაღალი და არატრანზიტული სტრუქტურული ბარიერები დიდი ზომის ქსელისა და შესაბამისი ინვესტიციების გამო, რომელიც საჭირო იქნებოდა მისი რეპლიკაციისთვის. [რომ შევაჭამოთ] შესვლის სტრუქტურული ბარიერები მაღალი და არადროებითია.”<sup>31</sup>

მეორე კრიტერიუმის განხილვისას, კერძოდ რომელიც გულისხმობს რომ ბაზარი არ არის მიდრეკილი კონკურენციისკენ, კვლევა აანალიზებს საქართველოს ბაზრის სტრუქტურას, დინამიკას და საბითუმო გარიგებების პირობებს, შედეგად აკეთებს დასკვნას, რომ ყველა ეს მაჩვენებელი არადაკმაყოფილებულია. ბოლო ფაქტორთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ არ არსებობს კომერციული გარიგებები და ასევე არ არის მასთან დაკავშირებული ex-ante რეგულაციები.

რაც შეეხება ბაზრის დინამიკას, კვლევა აღიარებს ბაზრის დინამიურ ტრანსფორმაციას, როდესაც მაგთიკომმა შეიძინა დელტა-ნეტი 2018 წელს. ეს მოხდა, როცა მისი ინტერნეტ აბონენტთა ბაზა 3,500-ზე ნაკლები აბონენტიდან 180,000-ზე მეტ აბონენტამდე გაიზარდა (თუმცა იმ დროს ჯერ-კიდევ დაბალი იყო სილქნეტის 250,000 აბონენტთან შედარებით). რასაც კვლევა არ აღიარებს, არის ის, რომ ასეთი მოვლენა შეიძლება განმეორდეს, თუნდაც მისი სამწლიანი პროგნოზის ფარგლებში. ის არც მაგთიკომის ზრდის დინამიკას ხსნის მომდევნო ორი წლის განმავლობაში, სადაც აბონენტების თვალსაზრისით მაგთიკომი პოზიციურად სილქნეტზე მნიშვნელოვნად დაწინაურებულია.

ეს არ მომხდარა ახალი მარეგულირებელი ზომების დაწესების გამო, არამედ კონკურენტული მართვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზეზით. ფაქტობრივად, შეზღუდული ფასების კონკურენცია, რომელზეც კვლევა მიუთითებს, ხაზს უსვამს სხვა ბიზნეს გადაწყვეტილებებისა და რესურსების გავლენას. მიუხედავად ამისა, კვლევა აკეთებს დასკვნას, რომ „საბითუმო რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში... მაგთიკომი დარჩება ერთადერთ მოთამაშედ, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი დაფარვა საქართველოში.”<sup>32</sup> ამის საფუძველზე საინტერესოა, თუ კვლევა მომზადდებოდა 10 წლით ადრე, მივიდოდა თუ არა ის ამ დასკვნამდე სილქნეტის დომინირებასთან ან ალტერნატიულად, Siklnet-ისა და კავკასუს ონლაინის გრძელვადიან დუოპოლიასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ბაზრის სტრუქტურას, კვლევაში ხაზგასმულია, რომ არსებული FTTx კონკურენცია შემოიფარგლება 40,000-იანი დასახლებებით, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი ოპერატორი. მორიგი 15% შემოიფარგლება ერთი ან ორი ოპერატორით, ხოლო დანარჩენ 15%-ს არ აქვს

<sup>30</sup> იქვე., გვ. 96.

<sup>31</sup> იქვე., გვ. 97.

<sup>32</sup> იქვე., გვ. 102.

არც ერთი. მიუხედავად ამისა, კვლევის მიხედვით, ორი ძირითადი ოპერატორი გააფართოვებს მათ დაფარვას ზოგიერთ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ჯერ არ არიან წარმოდგენილი, რაც გულისხმობს, რომ პატარა ოპერატორები ფოკუსირდებიან უფრო დიდ დასახლებებზე, როგორც, სავარაუდოდ, ახალი მოთამაშე მოიქცეოდა. ეს გამიზნულია კვლევის დასკვნის გასამყარებლად, რომ ეფექტურ კონკურენციაზე (მეორე კრიტერიუმი) არ შეიძლება დაყრდნობა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში და რომ ეფექტური კონკურენციის მიღწევის შესაძლებლობას წარმოადგენს კიდევ ერთი, სავარაუდოდ, პატარა მოთამაშის დამატება და/ან მაგთიკომის წილის შემცირება.

ამავდროულად კვლევა ირწმუნება, რომ მხოლოდ საბითუმო მიწოდების რეგულირებით სხვა მოთამაშეები დაიწყებენ ისეთი დასახლებების მომსახურებას საქართველოში, სადაც მოცემული მომენტისთვის არ ხდება ან ძალიან სუსტად ხდება მომსახურების მიწოდება (ერთი ან ორი ქსელური ოპერატორით). ის ამას აკეთებს საბაზრო მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ იმის შესახებ, რომ ოპერატორები ნაკლებად არიან ფოკუსირებული მსხვილ ბაზრებზე, მათი უმრავლესობა ემსახურება თბილისს, ვიდრე სხვა დასახლებებს.

## 4.2 წინააღმდეგობრივი მტკიცებულება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის SMP-სთან დაკავშირებული დასკვნების კრიტიკული ანალიზისთვის რამდენიმე საფუძველი რჩება. დასაწყისისთვის, საბითუმო წვდომის რეგულირებისკენ გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება შეამციროს როგორც დიდი, ისე მცირე ოპერატორების აქტივობა ქვეყნის ნაკლებად დასახლებულ რაიონებში. ამან ასევე შეიძლება, შეამციროს იმის ალბათობა, რომ დასახლებები, სადაც ამჟამად FTTx არ არის ხელმისაწვდომი, (2,611 პუნქტი საქართველოში არსებული 3,605 დასახლებული პუნქტიდან), მიიღებენ წვდომას ამ ტექნოლოგიაზე (ანდა ნებისმიერ ფიქსირებულ, ფართობლოვან კავშირზე), მათ მიმდინარე პერსპექტივებთან შედარებით.

ძირითად შემთხვევაში დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც FTTx ქსელებზე წვდომა საერთო ჯამში იყო ნაკლები, ვიდრე საქართველოში. რაც შესაძლოა ასევე განმეორდეს ჩვენთან დამატებითი მარეგულირებელი შეზღუდვების, საბითუმო წვდომის რეგულირების განუსაზღვრელობისა და SMP-ის განსაზღვრის გათვალისწინებით. ისევ და ისევ, როგორც მინიმუმ, შესაძლოა ველოდოთ მრავალწლიან გამოუვალ მდგომარეობას, როგორც ეს მოხდა MVNO-ს შედარებით მარტივი დანერგვის დროს.

თავის არგუმენტებში, რომ საჭიროა საბითუმო წვდომის რეგულირება, კვლევა ასევე ითვალისწინებს, თუ როგორ განიცდიან სხვადასხვა ოპერატორები ზრდას (ან კლებას) მაღალსიჩქარიანი ფართობლოვანი აბონენტების ბაზრებში. მთლიანობაში, ეს აჩვენებს, რომ 2021 წელს შემცირების შემდეგ, ზრდის უფრო ძლიერი ტემპი განახლდა. ფაქტობრივად, სილქნეტის აბონენტების ზრდა 2022 წელს უფრო დიდი იყო, ვიდრე მაგთიკომის. მიუხედავად ამისა, კვლევა ითვალისწინებს, რომ მაგთიკომი გააგრძელებს მაღალსიჩქარიანი ფართობლოვანი მომსახურების აბონენტების 50%-ზე მეტის მომსახურებას (2022 წელს არსებული 54.8%-ისგან განსხვავებით) უახლოეს მომავალში და, შესაბამისად, უნდა დაექვემდებაროს SMP შეზღუდვებს.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა სათანადოდ არ აფასებს და არ აიდენტიფიცირებს „ბაზრის მარცხს“, რომელიც, როგორც წესი, განიხილება SMP-ის ex-ante ვალდებულებების დაწესების წინაპირობად.<sup>33</sup> კონკრეტულად, „ბაზრის ანალიზის პროცედურას“ უნდა გამოევიდინა „ბაზრის წარუმატებლობა“, როგორც ეს მითითებულია EECC-სა და SMP-ის სახელმძღვანელოში.<sup>34</sup> ბაზრის ანალიზისა და განსაზღვრების განხორციელებისას, მარეგულირებლებმა უნდა გააანალიზონ, რამდენად შეადგენენ

<sup>33</sup> გთხოვთ, იხილოთ 2018 წლის EU SMP სახელმძღვანელოს 9, 12, 20 და 75 პუნქტები.

<sup>34</sup> იხილეთ EECC-ის მუხლი 67(1).



ალტერნატივები სადავო ბაზრის ნაწილს.<sup>35</sup> ამის ნაცვლად, კვლევა ასახელებს ამ ალტერნატივებს, იქნება ეს ფიქსირებული თუ მობილური, როგორც ბაზრების სრულად განცალკევებულ ნაწილებს.

გარდა ამისა, SMP გადაწყვეტილება გამოტანილია ნეგატიური გავლენის გათვალისწინების გარეშე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს SMP ზომებმა (პირველადი შეთავაზებიდან რეალიზებამდე) მაგთიკომის შესაძლებლობაზე გააფართოვოს წვდომა ფართობლოვან ინტერნეტზე რეგიონებში, სადაც ის არ არის წარმოდგენილი (რაც მას მნიშვნელოვნად მეტად აქვს გაკეთებული სხვა ოპერატორებთან შედარებით), ასევე რაიმე სახის წნეხზე, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს, ფასების ზრდაზე, მომსახურების ხარისხზე, იმ მოწყობილობების მოდერნიზაციის შეფერხებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას უფრო სწრაფად, ასევე ფართობლოვანი ქსელის მცირე ოპერატორების ფინანსურ მდგრალობაზე. ნავარაუდევია, რომ ბაზარი გაუმჯობესდება იმის მიუხედავად, მიუთითებს თუ არა კომუნიკაციების კომისია თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომ ფართობლოვანი კავშირის ბაზარი საქართველოში კარგად არის განვითარებული.

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეეხება კვლევის უძღურებას აღიაროს საბაზრო წარმატება და მომსახურების ხარისხი, არის მისი ვარაუდი, რომ აბონენტების უფრო მაღალი პროცენტი ტერიტორიებზე, სადაც მაგთიკომი სთავაზობს მომსახურებას, მიუთითებს მის მასშტაბსა და ბაზრის ფართოდ დაფარვაზე. სამწუხაროდ, ავტორები შესაძლოა ბოლომდე ვერ იაზრებენ, რომ ეს ფართოდ დაფარვა და აბონენტების მაღალი პროცენტი ადასტურებს, რომ Magitcom-ი დიდი ალბათობით ემსახურება დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობებს (კერძოდ, პერიფერიული დაფარვის ზონებში) ან/და საშუალოდ სარგებლობს ნაკლები თანდაყოლილი მოთხოვნით (კერძოდ, ემსახურება მათ, ვინც ახლახანს დაიწყო ფართობლოვანი კავშირით სარგებლობა), ვიდრე მისი კონკურენტები.

იმავე პრინციპით, ახალი მოთამაშე უფრო სავარაუდოა, რომ მოემსახურება შედარებით განაპირა აბონენტებს (1) ტერიტორიებზე, სადაც უკვე არსებული ოპერატორები არიან ან (2) ჯერ არ ხდება მომსახურების მიწოდება. ასევე მათი პერსპექტივები უფრო შეზღუდული იქნება, რადგან არ ექნებათ ის მასშტაბი და სხვა კომპენსირებადი ფაქტორები, რომლებსაც მაგთიკომი ან სილქნეტი ეყრდნობა. ასეთი ზოგადი გამოწვევების ეფექტი აისახება მესამე ოპერატორის (ანუ „ახალი ქსელების“) „ბაზრის წილის კლებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში 9.4%-დან 6.3%-მდე.“<sup>36</sup> როგორც კვლევა მიუთითებს, „ეს ცხადყოფს, რომ გაფართოებასთან დაკავშირებული რეალური ბარიერები უკვე არსებობს.“ მიუხედავად ამისა, კვლევა უგულებელყოფს ამ ბარიერებს, როგორც გავლენის მქონეს ახალ მოთამაშეებზე და ასევე უგულებელყოფს გამოწვევებს, რომლებსაც ისინი წააწყდებიან არსებულ ოპერატორებთან კონკურენციაში ფასისა და მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ დაფარვაზე.

### 4.3 მაგთიკომი როგორც სამიზნე

მაგთიკომის SMP-ის შესახებ დასკვნით განცხადებაში, კვლევა ხაზს უსვამს კომპანიის ბაზრის წილს (ითვალისწინებს რა, როგორც საცალო სეგმენტის წილებს, ისე მის მოქნილობას FTTx დაფარვასთან მიმართებით). იგი ასევე აფიქსირებს შემდეგ მოსაზრებებს:

- არსებული ბარიერები ბაზარზე შესასვლელად და მის გასაფართოებლად დადასტურებულია მნიშვნელოვანი კონკურენციის არარსებობით და პოტენციური კონკურენციით მომავალი 3 წლის ინტერვალში
- მაგთიკომის აბსოლუტური და შედარებითი ზომა კონკურენტებთან მიმართებით

<sup>35</sup> ERG-ის საჯარო კონსულტაციის დოკუმენტი 2005 წელს, გვერდი 7.

<sup>36</sup> იქვე., გვ. 116.

- მაგთიკომის კონტროლი ინფრასტრუქტურაზე, რომლის იოლად დუბლირებაც მის კონკურენტებს არ შეუძლიათ ეროვნულ დონეზე დაფარვის თვალსაზრისით
- თანმხვედრი შემსყიდველი ძალისა და სტიმულის არქონა მაგთიკომის მიერ გააფორმოს გრძელვადიანი და მდგრადი საბითუმო შეთანხმებები
- მნიშვნელოვანი ეკონომია მაგთიკომის მასშტაბსა და მოცულობაში, რომელიც მოპოვებულია ფართო ინფრასტრუქტურით ფიქსირებული, ფართობლოვანი და მობილური მომსახურებისთვის, გავრცელების ეროვნული არხებითა და ვერტიკალური ინტეგრაციით.

დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ მისი ზომა და მენეჯმენტის შესაძლებლობები, რამაც აქამდე მიიყვანა, გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის საქართველოს და მის მოქალაქეებს. მასშტაბი თავისთავად რომ წარმოადგენდეს საბაზრო ძალაუფლების ტიპს, რომელიც საზიანოა, ამის მტკიცება რთულია თუ გავითვალისწინებთ მაგთიკომის სარგებელს ბაზარზე დაფარვის, მონაცემთა სიჩქარისა და ფასის თვალსაზრისით.

საწყისი საფუძველი იმისა, რომ მსხვილი სატელეფონო მომსახურების ოპერატორები ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ, არ იყო დაკავშირებული მაინცდამაინც მასშტაბთან (ზომასთან). ეს იყო მაღალი ფასები, დაბალი ხარისხის მომსახურება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული სურვილის არქონა/ანდა უარის თქმა ზოგიერთი შინამეურნეობებისთვის მომსახურების განვებაზე. ვინაიდან, როგორც წესი, ამ კომპანიების ხვედრითი წილი ბაზარზე შეადგენდა 90%-ს ან მეტს, მასშტაბი გამოიყენებოდა საზოგადოებაზე მათი უარყოფითი გავლენის ჩამნაცვლებლად. თუმცა თავის მხრივ ეს მასშტაბი არ ყოფილა ფაქტორი, როგორც ამას ადასტურებს ზოგიერთი ინოვაციური გამოგონება ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით<sup>37</sup>.

ანესებს თუ არა მაგთიკომი ზოგადად უფრო მაღალ ფასებს? უზრუნველყოფს თუ არა ის დაბალი ხარისხის მომსახურებას? აჭიანურებს თუ არა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სხვა ოპერატორებთან შედარებით? არადაამაკმაყოფილებლად ემსახურება თუ არა ცალკეულ დასახლებებს? ეს ის კითხვებია, რომლებიც კვლევამ უნდა განიხილოს, თუმცა უგულებელყოფს.

#### 4.4 კონკურენცია ტერიტორიების მასშტაბებზე

კვლევა აღიარებს განსხვავებული საბაზრო ზონების არსებობას, როცა განიხილავს მათ რელევანტურობას მცირე ოპერატორებისთვის საბითუმო წვდომის პირობების შემოღების შემდეგ. ფაქტობრივად ის მას ყოფს „კონკურენტუნარიან“ ზონებად, სადაც მცირე ოპერატორებიც არიან წარმოდგენილი და შეუძლიათ განათავსონ საკუთარი ქსელები, როგორც კონკურენტუნარიან ზონებში, ისე იქ, სადაც არ არიან წარმოდგენილი ოპერატორები<sup>38</sup>. კვლევის დასკვნით, ამას შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა მარეგულირებელი ზომის მიღება აღნიშნულ ზონებში.

<sup>37</sup> მაგალითებად მოვიყვანთ Telcel-ის წინასწარი გადახდის სერვისის თავდაპირველ განვითარებას მექსიკაში (სანამ ის ხელმისაწვდომი იქნებოდა სადმე) ქვეყნის ფინანსური კრიზისის პირობებში 1990-იანი წლების დასაწყისში, NTT DoCoMo-ს მიერ აპლიკაციის ეკოსისტემის დაარსებას იაპონიაში დაახლოებით 2000 წ. (Apple-ის სმარტფონების სმარტფონის ეკოსისტემას საკმაოდ წინ უსწრებს) და Safaricom-ის მიერ კენიაში მობილური ფულის სერვისის დანერგვას 2007 წელს, რომელიც დიდი ოპერატორების დადებითი წვლილის მაგალითია. იგივე ოპერატორები ასევე უზრუნველყოფდნენ მომსახურების უფრო ფართო დაფარვას მათ შესაბამის ბაზრებზე, ვიდრე მათი კონკურენტები და არ დააწესეს მაღალი ფასები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად ზომა არ არის საშიშროება, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება ზომა.

<sup>38</sup> იქვე., გვ. 125-126.

უფრო მეტიც, კვლევა დასძენს, რომ FTTx-ზე ფოკუსირება მოითხოვს „3 ან მეტი ოპერატორის ბარიერულ მნიშვნელობას“. ამას ამართლებს იმით, რომ სილქნეტი და „ახალი ქსელები“ მიზნად ისახავს „მუნიციპალურ ცენტრებს ან უფრო მჭიდრო დასახლებებს“. თუმცა, ის არ განმარტავს, თუ როგორ მოახდენდა სტრუქტურულ განსხვავებას დამატებითი FTTx ოპერატორი, რომელიც მოემსახურებოდა მხოლოდ ან ძირითადად მუნიციპალურ ცენტრებს ან მჭიდრო დასახლებებს და არაკონკურენტულ ბაზარს კონკურენტუნარიანად გადააქცევდა. არც იმის საზოგადოებრივ ფასეულობას აღიარებს, რომ მაგთიკომი თავისი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით ემსახურება მოშორებულ რაიონებს და ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებს და ამისთვის არ აწესებს მაღალ ტარიფებს, არის თუ არა SMP-ის გადაწყვეტილების მიზანი ამ თვალსაზრისით მისი წვლილის შეზღუდვა?

კვლევა ასევე არ აღიარებს, რომ მაგთიკომის საბაზრო წილები შემცირდა და არ გვთავაზობს რაიმე ინტერპრეტაციას ან ანალიზს ამ თემის ირგვლივ.<sup>39</sup> ამის ნაცვლად, იგი მიუთითებს, რომ სამი FTTx ოპერატორის მიერ ერთიანი ნიშნულის მიღწევა თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ეფექტური კონკურენციის არსებობის დასადასტურებლად. იგი წარმოადგენს დამატებითი კრიტერიუმების გრძელ ჩამონათვალს:

- მაგთიკომს არ უნდა ჰყავდეს აბონენტების 40%-ზე მეტი
- მესამე ოპერატორს უნდა ჰყავდეს მთლიანი აბონენტების მინიმუმ 10%
- მესამე ოპერატორს უნდა ჰყავდეს აბონენტების არანაკლებ 10% იმ დასახლებებში, სადაც 100,000-ზე მეტი მოსახლე ცხოვრობს (ანუ თბილისსა და საქართველოს სამ სხვა დიდ ქალაქში)
- მესამე ოპერატორს უნდა ჰყავდეს აბონენტების არანაკლებ 10% დასახლებულ პუნქტებში 20,000-ზე მეტი მოსახლით სამომავლო პერსპექტივით (ანუ შემდეგი სამი წლის განმავლობაში)
- მეორე ოპერატორის ქსელი უნდა მოიცავდეს შენობების არანაკლებ 80%-ს, ხოლო მესამე ოპერატორის - არანაკლებ 20%-ს.

პრაქტიკაში კვლევა აღიარებს მრავალსეგმენტიან და არა ერთიან ეროვნულ ბაზარს, როგორც ეს ნავარაუდები იყო მის ძირითად განმარტებაში. ამავდროულად ქვებზრების პოტენციური ვარიანტები, სადაც მრავალთა შორის ერთიდან მეორე კატეგორიაში გადასვლა პრაქტიკულად უსასრულოდ არის დასაშვები.

## 4.5 კვლევის დასკვნები

საბოლოო ჯამში, ზემოხსენებული კრიტერიუმების გამოყენებით საქართველოს დასახლებული პუნქტებისთვის კონკურენტების რაოდენობისა და საბაზრო წილის გათვალისწინებით კვლევა ასკვნის, რომ „შეჭიბრებადი კონკურენცია“ და კონკრეტულად დაქვემდებარება საბითუმო წვდომის მოთხოვნებთან - ბაზრის ნაწილი სამი სეგმენტისგან შედგება:

კლასტერი I: დასახლებული პუნქტები, რომელიც უნდა დარეგულირდეს მთელი რიგი ზომებით. ისინი მოიცავენ 2.7 მლნ შინამეურნეობას ანდა მოსახლეობის 74.2%-ს, ამასთან მაგთიკომი იკავებს ბაზრის ამ ნაწილის 90%-ზე მეტს.

კლასტერი II: პატარა დასახლებული პუნქტები, რომელთაც „აქვთ ტენდენცია კონკურენციისკენ“ და შეადგენენ მოსახლეობის სულ რაღაც 0.55%-ს. ამ რაიონებში მიღებული უნდა იყოს „შედარებით მსუბუქი წინასწარი რეგულირება (lighter ex ante regulation)“.

<sup>39</sup> იქვე., იხილეთ დიაგრამა 35 თემებზე: „ბაზრის წილი საცალო უფრო მაღალი სიჩქარით ფიქსირებული ფართობლოვანი წვდომის ბაზარზე – ტენდენცია“.

კლასტერი III: აშკარად კონკურენტუნარიანი დასახლებული პუნქტები, სადაც უმჯობესია გამოყენებულ იქნას ყველაზე მსუბუქი რეგულირება. ასეთ რეგიონებში ცხოვრობს მოსახლეობის სულ რაღაც 0.68%-ი.

საერთო ჯამში, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, მისაღები ზომების საერთო ნაკრები (განხილული ქვემოთ) გამოყენებული უნდა იყოს ეროვნული ბაზრის დაახლოებით სამ მეოთხედზე მოსახლეობის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, საერთო ჯამში ბაზარი შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: ვისაც კვლევის ავტორები არაკონკურენტუნარიანად მიიჩნევენ, სადაც არ არის FTTx ტექნოლოგია და კიდევ მცირე ნაწილი, რომელიც დასახლებულ ორს შორის რჩება.

## 5. შემოთავაზებული მარეგულირებელი ზომები

ზემოთ მითითებული დასკვნები და ზომები, რომელსაც შემდგომში განვიხილავთ, ეფუძნება საბითუმო წვდომაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის პოტენციურ არსებობას. თუმცა ჩვენ აღვნიშნავთ, რომ კვლევაში არაა ნახსენები არც ერთი ოპერატორი ან მომსახურების მომწოდებელი, რომელმაც გამოხატა თავისი ინტერესი მსგავსი წვდომის მიმართ კომუნიკაციების კომისიასთან ან ნებისმიერ სხვა ორგანოსთან საქართველოში. ამის მიუხედავად, ზომები უნდა იყოს მიღებული მაშინაც კი, თუკი ასეთი მოთხოვნა არ არსებობს ან/და თუ მას შეუძლია ზიანი მიაყენოს ბაზარს, რომელიც სხვა მხრივ ასახავს FTTx-ის განთავსებისა და გამოყენების შესანიშნავ დონეს.

ქვემოთ წარმოდგენილი ზომების შეფასების დროს, ჩვენ ასევე აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს რეალური მითითება იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდება ზომების ეფექტურობა. იგულისხმება, რომ მაგთიკომის ხვედრითი წილი ბაზარზე შემცირდება. თუმცა რა იქნება თუკი ეს არ მოხდება (განსაკუთრებით თუ ეს არ მოხდება მას შემდეგ, რაც მისი წილი ისედაც შემცირდა მიღებული ზომების გარეშე)? არ არსებობს რაიმე მითითება გეგმა B-ს შესახებ. ეს ხაზს უსვამს, რომ ზომები შეიძლება უბრალოდ ასახავდეს მოქმედების განხორციელების აუცილებლობას და არა ბაზრის ზრდისა და ბაზრის წილის რეალური მამოძრავებლების გაგებას.

### 5.1 შემოთავაზებული გადაჭრის გზები

კლასტერების მსგავსად, რომლის გამოყოფაც მოხდა „კონკურენტუნარიანობის“ საფუძველზე, კვლევაში წარმოდგენილია ზომების სამი შესაბამისი კლასტერი, შემოთავაზებული კომუნიკაციის კომისიის მიერ და ეს ზომები შემდეგია:

კლასტერი I:

- წვდომა
- არადისკრიმინაცია
- გამჭვირვალობა
- ხარჯების აღრიცხვა და ფასების კონტროლი
- აღრიცხვის გაყოფა/სეპარაცია.

კლასტერი II:

- წვდომა
- არადისკრიმინაცია
- გამჭვირვალობა
- ხარჯების აღრიცხვა და ფასების კონტროლი
- აღრიცხვის გაყოფა/სეპარაცია და

კლასტერი III:

- წვდომა.

კლასტერი 1, როგორც კვლევაშია განმარტებული, მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოდგენილია მაგთიკომი მაშინ, როცა დანარჩენი ორი კლასტერი არ არის შეზღუდული ამ სახით. შემდეგ დეტალურად განიშარტება თითოეული ზომა. ამავდროულად, სხვა ოპერატორებს, რომლებიც სთავაზობენ ფართობლოვან წვდომას დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის წარმოდგენილი მაგთიკომი, არც კი მოეთხოვებათ უზრუნველყოთ საბითუმო ფართობლოვანი წვდომა თუკი არ არის ამის საჭიროება.

## 5.2 წვდომის პირობები

წვდომის შემთხვევაში, კვლევა მის მიზნდება მოთხოვს გამჭვირვალეობის საფუძველზე და მოიცავს როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებზე (Fiber Unbundling) საბითუმო წვდომის დაყოფას (unbundling), ისე VULA-ს (Virtual Unbundled Local Access), ასევე საბითუმო ცენტრალურ წვდომას ნაციონალურ ან რეგიონალურ დონეზე, ცალკეულ ვირტუალურ არხებთან ერთად IPTV-ის, VoIP-ის, მონაცემთა ტრაფიკისა და სხვა სერვისებისთვის<sup>40</sup>. ამასთან, პროცესში FTTx ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს:

- წვდომა ტექნიკურ ინტერფეისებზე, პროტოკოლებსა და სხვა მთავარ ტექნოლოგიებზე, რომელიც აუცილებელია მომსახურების თავსებადობისთვის
- მესამე პირებისთვის წვდომის დაშვება დამხმარე მომსახურებაზე (ფიზიკურ ინფრასტრუქტურულ არხებსა და ბოძებზე; ოპტიკურ-ბოჭკოვანი გადამცემი მოწყობილობის გარეშე (dark fiber); იჯარით აღებულ ხაზებზე xWDM და Ethernet ტექნოლოგიის საფუძველზე
- საბოლოო მომხმარებლის მოწყობილობების (მაგალითად, მოდემების) გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც ტექნიკურად თავსებადია [და ასევე ]
- საოპერაციო მხარდაჭერის ან ანალოგიურ პროგრამულ სისტემებზე წვდომა, რომელიც აუცილებელია სამართლიანი კონკურენციისთვის საცალო ბაზარზე...[მონიტორინგის, ხარვეზების გასწორების, ქსელის დაფარვისა და სერვისის ხელმისაწვდომობისთვის]... B2B ფორმატში, რომლის მართვა, კონტროლი და განახლება მართივია.”<sup>41</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები საერთოა როგორც I, ისე II კლასტერისთვის. რაც შეეხება III კლასტერს, ვალდებულება შედარებით შეზღუდულია, კერძოდ "კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების წარმოება იმ ოპერატორებთან, რომლებიც ეძებენ ცენტრალურ წვდომას და ...რეაგირება ყველა გონივრულ მოთხოვნაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, 6 თვის განმავლობაში". ასეთი მოთხოვნების გონივრული საფუძველი განისაზღვრება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 36-ე მუხლით, ხოლო დავის გადაწყვეტის ნებისმიერი პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს კანონის მე-19(1) მუხლს, რომელიც ეხება ურთიერთკავშირს და მასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

მითითებული პირობების პრაქტიკაში გამოყენება რთული შესაფასებელია იმის ანალიზის გარეშე, თუ როგორ არის აგებული, აღჭურვილი, მართული და კონტროლირებული პროცესში

<sup>40</sup> იქვე. „VULA“ დანართ 2-ში (გვ. 197) განისაზღვრება, როგორც „იგულისხმება აქტიური წვდომის ხაზის მიწოდება სააბონენტო ხაზის შეწყვეტით წვდომის პროვაიდერის ოპტიკური ხაზის შეწყვეტის (OLT) მოწყობილობაზე, წვდომის მაძიებელს შესაძლებლობით, უშუალოდ დაუკავშირდეს ამ მოწყობილობას ადგილობრივი გაცვლის დონეზე, სადაც, LLU-ს მსგავსად, გადაცემა მოხდება და შესაბამისად, თავიდან აცილებული იქნება წვდომის პროვაიდერის აგრეგაციის ქსელს. VULA ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სპილენძის ხაზებზე.

<sup>41</sup> იქვე. გვ. 164-165.

ჩართული ქსელები, რომლებიც სთავაზობენ საბითუმო წვდომას და ისინი, რომლებიც მას მოითხოვენ. საერთო ჯამში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა და დანახარჯები შეიძლება დასჭირდეს მათ ურთიერთთავსებადობას განსაკუთრებით, თუკი პროცესში სხვადასხვა ტექნოლოგიაა ჩართული (ან კიდევ, ერთნაირი ტექნოლოგია სხვადასხვა მომწოდებლისგან).

ამავდროულად, იბადება კითხვა, განიხილა თუ არა კვლევამ და კომუნიკაციების კომისიამ დაკავშირებული კორექტირებისა და განხორციელების ხარჯები.

### 5.3 არა-დისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა

#### არა-დისკრიმინაციულობა

ამ შემთხვევაში განმარტებულია უამრავი კონკრეტული მოთხოვნა თანაბარი მოპყრობისა და პირობების უზრუნველსაყოფად საბითუმო წვდომის მომხმარებლებისთვის I და II კლასტერის კონტექსტში. ამასთან, კლასტერი III არ ექვემდებარება მათ (მხოლოდ კომერციულ მოლაპარაკებებს). გარდა ამისა, განსაზღვრულია ეფექტურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, მათ შორის მოთხოვნების რაოდენობა მონაცემთა გადაცემის სიჩქარეზე, აღმოფხვრილ ხარვეზებზე დადგენილი დროის ფარგლებში და მის გარეთ, ასევე თორმეტი სხვა მაჩვენებელი.

ასევე არის მინიშნება მარჯის შეზღუდვის ტესტზე, რომელიც გამოქვეყნდება კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდზე. ტესტის მიზანია საფასო დისკრიმინაციის შეფასება. უფრო კონკრეტულად, ტესტმა უნდა განსაზღვროს, „რომ SMP ოპერატორის საცალო ფასი მოცემულ სერვისებზე არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე SMP ოპერატორის საბითუმო ღირებულების ჯამი ამ სერვისისთვის, ასევე წვდომის მაძიებლის საკუთარი ქსელის ღირებულება ამ სერვისისთვის და წვდომის მაძიებლის საცალო ღირებულება ამ სერვისისთვის.“<sup>42</sup>

ეს ე.წ. არადისკრიმინაციული ტესტი გულისხმობს, რომ თუ წვდომის მაძიებელი არაეფექტურია ან კიდევ არ აქვს ნებისმიერი ეკონომიკური მასშტაბი, SMP ოპერატორი შესაძლოა იძულებული გახდეს უფრო მაღალი ფასები დააწესოს თავის სერვისებზე, ვიდრე წარსულში. შეიძლება თუ არა ეს მართლაც იყოს რაციონალური პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლების დიდი ნაწილის წვდომას მაღალსიჩქარიან ფართობლოვან სერვისზე ყველაზე გონივრულ ფასად? ეს ყველაფერი უფრო საპირისპიროზე მეტყველებს.

#### გამჭვირვალობა

დაკავშირებული ვალდებულებების სია გრძელია. მოთხოვნები, რომელიც საფუძვლად უდევს რეფერენს წინადადებას, შეიცავს 17 ცალკეულ ელემენტსა და 19 დამატებით ქვეელემენტს. ისინი მერყეობენ „წვდომის ხელმისაწვდომი წერტილების სიებიდან“ განუსაზღვრელ „მოწყობილობის სპეციფიკაციებამდე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსელში“, ასევე შედარებით ბუნდოვან მოთხოვნებამდე, რომელიც უკავშირდება „ტექნიკური გადაწყვეტილების შექმნის ღირებულებას“ (შესაძლოა ასეთი გადაწყვეტების რაოდენობა უსასრულო იყოს).

მოხსენიებული 36 ცალკეული ელემენტი ასახავს საბითუმო წვდომის პროცესის სირთულეს, რომელიც აქ არის აღწერილი. ის უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე გამჭვირვალობის მარტივი გაგება. ეს, თავის მხრივ, აჩენს კითხვას მისი დამატებითი ხარჯების შესახებ, რომელსაც საბოლოო მომხმარებლები შესაძლოა წააწყდნენ მომავალში, რაც შეამცირებს იმ მომხმარებლების რაოდენობას, ვისაც ამ სერვისებით სარგებლობის საშუალება აქვს. (სხვა

<sup>42</sup> იქვე., გვ. 166-169.

შემთხვევაში, თუკი ფასები არ გაიზრდება, შესაძლოა გაიზარდოს საჩივრები მომსახურების ხარისხთან მიმართებით). გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისია შეიძლება შეეცახოს ხარჯების ზრდას პროცესის მონიტორინგზე, ასევე მომხმარებლების საჩივრებზე შედარებით რთულ საოპერაციო სტრუქტურაში, რომელიც გაჩნდება მიღებული ზომების შედეგად.

## 5.4 ფასების კონტროლი და ხარჯების აღრიცხვა

დანახარჯებზე კონტროლის საკითხის განხილვისას კვლევა აღიარებს, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნით თვითღირებულებაზე დაბალი ფასების დაწესების მარტივი გარანტია არ არსებობს. ამიტომაც კომუნიკაციების კომისიამ გადაადგა ზემოთ განმარტებული მრავალი ნაბიჯი, რომ მსგავს ანტიკონკურენტულ ფასწარმოქმნას ადგილი არ ჰქონოდა.

კიდევ ერთი პირობა ეს არის ერთიანი ფასის დაწესება ადგილობრივი ხელმისაწვდომობისთვის, ლოკალური წვდომის დარიცხვა ერთი ფასით, სინქარის მიუხედავად, რომელიც არ მოიცავს უკუგადაცემის სერვისს. ანალოგიურად, Ethernet-ისა და IP-ის დონის წვდომა (რეგიონული თუ ეროვნული) უნდა დაწესდეს ერთი ფასით, სინქარის მიუხედავად, რასაც ცალკე დაემატება უკუგადაცემა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვგარაუდობთ, რომ საბითუმო წვდომის საფუძველზე მოწოდებული უკუგადაცემის გადასახადი შეიძლება განსხვავებულად დაწესდეს, რაც დამოკიდებულია მიწოდებულ სინქარესა და ჩართულ მარშრუტზე. როგორ გადაჭრიან ამ დისბალანსს ახალი შემომსვლელები ან არსებული ოპერატორები?

რაც შეეხება II კლასტერის სიტუაციებს, „ადგილობრივი წვდომისთვის ხარჯზე ორიენტირებული მაქსიმალური ფასი... არ იქნება განსაზღვრული, მაგრამ ზღვარის შეკუმშვის ტესტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მოვლენის შემდგომ (Ex-post) და ტესტი უნდა იყოს დაფუძნებული „გონივრული ეფექტური ოპერატორის“ მოდელზე. აქ მინიშნება კეთდება ფორმულაზე "BEREC-ის სახელმძღვანელო მარეგულირებელი აღრიცხვის მიდგომის ეკონომიკური განმეორებადობის ტესტის შესახებ (მაგალითად *ex-ante* / ტესტები სპეციფიკური სექტორის მარჟაზე)... [რომელიც] აზუსტებს, რომ SMP ოპერატორის საცალო ფასი არ შეიძლება იყოს იმ ჯამზე ნაკლები, რასაც შეადგენს SMP ოპერატორის საბითუმო მომსახურების ხარჯები, პლუს წვდომის მაძიებლის საკუთარი ქსელის ხარჯები და ასევე წვდომის მაძიებლის საცალო ხარჯები.

გარდა ამისა, კლასტერი II მოითხოვს, „ფასები განისაზღვროს საბითუმო ცენტრალური წვდომისთვის (bitstream access) (ყველა ერთჯერადი და განმეორებადი საფასურისთვის)... [მათ შორის] მოიცავდეს ყველა ცენტრალური წვდომის სერვისს წვდომის ვალდებულების შესაბამისად..., სპეციალური ვირტუალური არხის სერვისებს..., [და] დამხმარე სერვისებს...“<sup>43</sup> რაც შეეხება III კლასტერს, „ფასის კონტროლის მარეგულირებელი ვალდებულება არ არის დაწესებული, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს *ex-ante* (წინასწარი) ვალდებულებები“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბითუმო გადასახადი განისაზღვრება თავისუფალი კომერციული მოლაპარაკებებით.“<sup>44</sup>

და ბოლოს, კვლევა ეხება კომუნიკაციების კომისიის წინადადებას იმის შესახებ, რომ SMP ერთეულს მოეთხოვება „ანარმოს ცალკეული ანგარიშები ადგილობრივი და ცენტრალური წვდომის სერვისებისთვის (დამხმარე სერვისების ჩათვლით), [როგორც] განსაზღვრულია ამ ბაზრის ანალიზში.“<sup>45</sup> ეს მოთხოვნა არ გამოიყენება III კლასტერისთვის.

<sup>43</sup> იქვე., იხილეთ გვ. 174-175 კლასტერ II-თან დაკავშირებული ციტირებისთვის.

<sup>44</sup> იქვე., გვ. 176.

<sup>45</sup> იქვე., გვ. 177.

## 6. ევროკავშირის ბაზრისა და პოლიტიკის შედარება

კვლევის ბოლო ნაწილში, რომელიც ფიქსირებული კავშირის პირობებს შეეხება, განვიხილავთ განსხვავებას საქართველოში ბაზრის მდგომარეობასა და SMP შემოთავაზებულ ზომებს შორის და მეორეს მხრივ პრაქტიკებს, რომელიც არსებობს ევროკავშირის ბაზარზე და კონკურენციის პოლიტიკაში (განხორციელებული). ეს განსხვავებები იშვიათად არის აღიარებული ასოცირების კვლევაში. მიუხედავად ამისა, აღიარება მნიშვნელოვანი შენატანია კვლევის ხედვისა და რეკომენდაციების შესაფასებლად.

### 6.1 შედარებები ევროკავშირის ბაზრებთან

ჩვენ ვიწყებთ იმ განსხვავებების აღნიშვნით, რომლებიც არსებობს ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს, როგორც ფართობოლოვანი ქსელის ბაზარსა და როგორც ეკონომიკას შორის და წარმოადგენს კვლევის ორიენტირ კონტექსტს.

#### *ბაზრის შედეგები*

საქართველოს ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზრის თვალსაზრისით, ქვეყანა უფრო დაწინაურებულია გარკვეულ ასპექტებში, ვიდრე ევროკავშირის უმეტესი ქვეყნები. მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებზე დაკავშირებული შინამეურნეობების ის წილი, რაც საქართველოშია, იშვიათია ევროკავშირის მასშტაბით. კონკრეტულად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ესპანეთსა და შვედეთს ჰყავთ ფართობოლოვანი აბონენტების 80%-ზე მეტი დაკავშირებული ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებთან. მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას აქვს ფართობოლოვანი კავშირების 50%-ზე ნაკლები, რომელსაც ემსახურება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების მეშვეობით, აქედან ხუთზე წილი 12%-ზე დაბალია.<sup>46</sup>

ეს, თავის მხრივ, აჩენს კითხვებს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ქართულ ბაზარს SMP-ის განსაზღვრის თვალსაზრისით. შესაბამისად, ევროკავშირზე დაფუძნებული მიდგომები, რომლებიც გამომდინარეობს ბაზრებიდან, სადაც დომინირებენ ფიქსირებული სატელეფონო კავშირის (სპილენძის სადენებით) პროვაიდერები, შეესაბამება თუ არა საქართველოს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ კონტექსტში. ეს ძირითადი საკითხები და კითხვები არ ჩანდა ასოცირების კვლევაში.

#### *DSL-ის არსებობა*

საქართველო სხვა მხრივაც განსხვავდება ევროკავშირის უმეტესი ქვეყნისგან, სადაც ხშირად მხოლოდ DSL-ით დაფარული ტერიტორიები დღემდე არსებობს. საქართველოში ანალოგიური ტერიტორიები იკავებს ყველა შინამეურნეობის მხოლოდ 0.1%-ს და მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლებს.<sup>47</sup> ეს ასახავს საქართველოს ბაზრის ზოგად განსხვავებულ სტრუქტურას, სპილენძის სადენებით მომსახურე ოპერატორის არსებობის გარეშე, როგორც ეს არის ევროკავშირის ბაზრების დიდ ნაწილში. სილქნეტი გარკვეულწილად ევროკავშირის ტიპური DSL-ის მოხმარებული ძველი ოპერატორის ეკვივალენტია, მაგრამ მისი წილი ბაზარზე უფრო დაბალია, ვიდრე წარსულში ან თუნდაც დღეს ევროკავშირის ანალოგიური მომსახურების პროვაიდერების წილთან შედარებით.

<sup>46</sup> OECD ფართობოლოვანი მომსახურების ბაზრის სტატისტიკა (<http://www.oecd.org/digital/broadband/broadband-statistics/>); იხილეთ ბოჭკოვანი კავშირების პროცენტი მთლიან ფიქსირებულ ფართობოლოვან ქსელში, 2022 წლის დეკემბერი.

<sup>47</sup> იქვე., გვ. 40.



კვლევა არ ცნობს ამ ფაქტორის შედეგებს, რაც მოითხოვს საქართველოში SMP შეფასების განსხვავებულ მიდგომას ევროკავშირის კლასიკურ კონტექსტთან შედარებით.

### *კომპლექტური სერვისები*

ასევე არ არის აღიარებული საქართველოს შედარებითი განსხვავება კომპლექტური საკაბელო ტელევიზიის მომსახურებების მიწოდებაში. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოძველებული ბაზრებისგან განსხვავებით, სადაც საკაბელო ტელევიზიის ოპერატორები, როგორც წესი, განსხვავებული სუბიექტები იყვნენ (ანუ სატელეფონო კომპანიებისგან განსხვავებულები), საქართველოში ისინი შერეული ოპერატორები არიან.

ასეთი შერწყმა ბოლო წლებში ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც ხდება, მოძველებული სატელეფონო კომპანიების (მაგ. Deutsche Telecom, Orange, Telefonica) და ახალი შემსვლელების, რომლებიც უზრუნველყოფენ მობილურ მომსახურებას (მაგ. Vodafone) ასევე შერწყმა საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერთან (მაგ. Liberty TV). საქართველოში ეს შედარებით ფუნდამენტური მოვლენაა ბაზარზე.

## **6.2 შეუსაბამობები ევროკავშირის პოლიტიკასთან**

რა თქმა უნდა, ევროკავშირის მარეგულირებლებმა თავიანთი ფიქსირებული ოპერატორებიდან ბევრი დაასახელეს ისეთებად, რომლებსაც აქვთ SMP. თუმცა, ისინი ჩვეულებრივ იყვნენ ტრადიციული ფიქსირებული სატელეფონო ოპერატორები, რომლებიც იწყებდნენ ფიქსირებული ბაზრის 100%-იანი (ან 100%-მდე) წილით. ასევე, ევროკავშირის ეროვნული რეგულატორების მიერ ფიქსირებული მომსახურების სექტორში SMP-ის განსაზღვრა, როგორც შემდგომ განიხილება ევროკავშირის მიერ, ჩვეულებრივ ეფუძნება ყველა ფიქსირებულ კავშირს. რომ შევადაროთ, შემოთავაზებული მიდგომა საქართველოსთვის - კერძოდ, ფოკუსირება მხოლოდ FTTx სერვისის კავშირებზე - შერჩევითი ჩანს.

მოცემული შერჩევითობა ეფუძნება არამხოლოდ მომსახურების სიჩქარის დონეს, არამედ გამოყენებულ ტექნოლოგიას. ჩვენი ინფორმაციით, ასეთ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული SMP შეფასებები ძალზე უჩვეულოა ევროკავშირის კონტექსტში. უფრო მეტიც, ეს მიდგომა აკნინებს xDSL და FWA ალტერნატივებს, ისევე როგორც ოპერატორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართობლოვან სერვისებს ამ ტექნოლოგიების გამოყენებით. ის ასევე გამორიცხავს კონკურენციას, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მობილური უკაბელო კავშირებით. მთლიანობაში, ეს უგულებელყოფს სილქნეტისა და სელფის, ისევე როგორც გლობალ ერთის, აილინკის და 80 სხვა FWA პროვაიდერის კონკურენტულ როლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც VoIP სერვისებს გთავაზობს.

ამავდროულად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ SMP-ის განმარტება ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, ბაზრის უფრო ფართო განმარტებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, როგორც არასწორი, მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ოპერატორები ფლობენ მნიშვნელოვან საბაზრო წილებს (მაგ. ფინეთსა და შვედეთში). თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც ერთ ოპერატორს მიენიჭა SMP-ის სტატუსი, ჩართული ოპერატორები იყვნენ შესაბამისი ქვეყნების თავდაპირველი მემკვიდრე ოპერატორები.<sup>48</sup> ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბაზრის უნიკალურობასა და ოპერატორებისთვის არსებულ პირობებს საქართველოში.

მიუხედავად ამისა, კვლევა აწესებს ზემოდან ქვემოთ (დაღმავალ) ხედვას ფიქსირებული ფართობლოვანი ბაზრის, როგორც ერთიანი ეროვნული ბაზრის მიმართ. ამის

<sup>48</sup> გამონაკლისს მოიცავს ლიტვა და პორტუგალია. ასევე არის ერთი შემთხვევა, როდესაც ორ ოპერატორს მიენიჭა ერთობლივი დომინანტის სტატუსი (KPN და Vodafone/Ziggo ნიდერლანდებში), გადაწყვეტილება, რომელიც გააუქმა ჰოლანდიის სავაჭრო და მრეწველობის სააპელაციო ტრიბუნალმა.

საპირისპიროდ, ევროკავშირის SMP გაიდლაინების შეფასების მიხედვით, „გეოგრაფიული ანალიზი უნდა იყოს შემუშავებული ქვემოდან-ზემოთ (აღმაგალი) მეთოდით, სადაც ბაზრის სეგმენტი განისაზღვრება კონკურენციის ადგილობრივი პირობების მიხედვით, და არ გამოიყენოს დაღმავალი მიდგომისთვის დამახასიათებელი ათვლის წერტილები, როგორცაა ერთიანი ეროვნული ბაზარი ან ბაზარი ეროვნული ელემენტის გარეშე“<sup>49</sup>. აღმაგალ მიდგომას პირდაპირ მოითხოვს ევროკომისია, რომელმაც განაცხადა, რომ „გეოგრაფიული ტერიტორიები... რომლებიც შეიძლება განვსხვავოთ მეზობელი ტერიტორიებისგან, სადაც გაბატონებული კონკურენციის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება... მნიშვნელოვნად განსხვავებული კონკურენტული პირობების წინაშე დგანან.“<sup>50</sup>

შესაბამისად, FTTx-ის ფართო ხელმისაწვდომობა საქართველოში (უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში), მათ შორის მისი არსებობა ბევრ სასოფლო დასახლებაში, არ არის კვლევის მიერ აღიარებული, როგორც საფუძველი სხვა მარეგულირებელი გადაწყვეტილების მისაღებად, ვიდრე SMP-ის განსაზღვრა. ასევე არ არის აღიარებული, რომ მთლიანობაში, ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებში საბითუმო წვდომის უზრუნველსაყოფად შეზღუდული იყო SMP განსაზღვრების გამოყენება. ფაქტობრივად, ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით განვითარდა, განსაკუთრებით ევროკავშირის დონეზე. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია SMP-ის სხვა განმარტებით, კერძოდ, ევროკავშირის „ერთიანი ბაზრის პროგრამით“. უფრო და უფრო დიდი, მრავალ ქვეყანაში წარმოდგენილი მობილური ოპერატორების საჭიროება განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი, ტექნოლოგიის ინოვაციისა და მიღწევებისათვის, ასევე მარეგულირებელი ჰარმონიისთვის ევროკავშირის მრავალ ქვეყანას შორის.

<sup>49</sup> Copenhagen Economics, Review of SMP Guidelines, მომზადებული ETNO–ევროპული სატელეკომუნიკაციო ქსელის ოპერატორთა ასოციაციისთვის, 2017 წლის 25 სექტემბერი.

<sup>50</sup> ამასთან, 2020 წელს კომისია მიუთითებს კონკურენციის კოდექსის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტზე.

## დაშვებები და შეზღუდვები

ზოგადი დაშვებები და შეზღუდავი პირობები, რომლებიც ეხება ამ დოკუმენტში მოცემულ შეფასებას, შეჯამებულია ქვემოთ:

- ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას კომპანია გამოიყენებს მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების მიზნით და ასევე შეუძლია ანგარიში წარუდგინოს საქართველოს ხელისუფლებასა და კომისიას.
- ეს ანგარიში ეფუძნება უახლეს ინფორმაციას, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მუშაობის დასრულებამდე (2024 წლის 23 აპრილი) და ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას მის განახლებაზე იმ მოვლენების მიხედვით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი გამოცემის თარიღის შემდეგ.
- ჩვენი დასკვნები უნდა ჩაითვალოს ძალაში გარკვეული დროის ინტერვალით და შეიძლება დაექვემდებაროს განახლებას. ჩვენ არ შეგვიძლია გარანტია გაცვეთ ანგარიშში ნაჩვენები ნებისმიერი შეფასების რეალიზებაზე, თუმცა ისინი მომზადებულია დიდი სიფრთხილით და კვლევის ფაზაში სხვადასხვა წყაროების მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება ანალიზი და დასკვნები, არის ჭეშმარიტი და სწორი. ინფორმაცია, შეფასებები და მოსაზრებები, რომლებიც ჩვენთვის მოწოდებულია და რომელსაც შეიცავს ეს დოკუმენტი ან გამოყენებულია დასკვნების ფორმირებაში, მოპოვებულია წყაროებიდან, რომლებიც მინიშნულია სანდოდ, ჭეშმარიტად და მართებულად.
- ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა შეფასებასთან ან კვლევასთან ერთად. ამ ანგარიშის სრულად ან ნაწილობრივ რეპროდუქცირება დაუშვებელია და ამ დოკუმენტის დასკვნები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მესამე მხარის მიერ რაიმე მიზნით, შპს BDO კონსალტინგის წერილობითი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია ამ დოკუმენტის რომელიმე პუნქტის ცვლილება სხვა მხარის მიერ, გარდა შპს BDO კონსალტინგისა და ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ასეთ არაავტორიზებულ ცვლილებაზე.
- შპს BDO კონსალტინგი, Kalba International Inc. და მათი ოფიციალური პირები ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები და არ გვაქვს ინტერესი ამ კვლევის მიმართ. ჩვენი მომსახურების ბიუჯეტი წინასწარ იყო განსაზღვრული და არ იყო დამოკიდებული პროექტის შედეგებზე.

## აბრევიატურები, განსაზღვრებები და ტერმინთა განმარტებები

აბრევიატურები და განსაზღვრებები	ტერმინთა განმარტებები
B2B (Business-to-Business)	მარკეტინგული სტრატეგიები და ტაქტიკა, რომელსაც იყენებენ ბიზნესები, რათა გაყიდონ თავიანთი პროდუქტები ან მომსახურება სხვა ბიზნესებისთვის
BEREC (Body of European Regulators for Electronic Communications)	ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებელი ორგანო
CDMA (Code Division Multiple Access)	კოდური დაყოფის პრინციპზე დამყარებული მრავალჭერადი დაშვების სისტემა
ComCom (Communications Commission)	კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
DSL (Digital Subscriber Line)	ციფრული სააბონენტო ხაზი
EECC (European Electronic Communications Code)	ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი
Ethernet	ეთერნეტი, ქსელის ტექნოლოგია, რომელიც კომპიუტერებს ერთმანეთთან აკავშირებს
EU (European Union)	ევროპის კავშირი (შემოკლებით ევროკავშირი)
Ex-ante (before the event)	ლათინური ტერმინი, რომელიც ნიშნავს "მოვლენამდე". ტერმინი ხშირად გამოიყენება მარეგულირებელ კონტექსტში, მოვლენის ან სიტუაციის დაწყებამდე განხორციელებულ ქმედებებზე მითითებისთვის
ERG (Eurasian Resources Group)	ევრაზიული რესურსების ჯგუფი
FTTH (Fiber to the Home)	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი სახლამდე/ბინამდე
FTTx (Fiber to the X)	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი x წერტილამდე
FWA (Fixed Wireless Access)	ფიქსირებული უსადენო წვდომა
FWA-WiFi (Fixed Wireless Access via WiFi technology)	ფიქსირებული უსადენო წვდომა WiFi ტექნოლოგიით
IP (Internet Protocol)	ინტერნეტ-პროტოკოლი
IPTV (Internet Protocol Television)	ტელევიზია, რომელიც ტრადიციული საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ნაცვლად მომხმარებელს მიეწოდება კომპიუტერული ქსელებისთვის შექმნილი ტექნოლოგიით
KPN (Koninklijke KPN N.V.)	ჰოლანდიური სატელეკომუნიკაციო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ფიქსირებული და მობილური ტელეფონის, ინტერნეტისა და ტელევიზიის მომსახურებას
LLU (Local Loop Unbundling)	მარეგულირებელი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს მრავალ სატელეკომუნიკაციო ოპერატორს, გამოიყენონ ერთი და იგივე ლოკალური ხაზი ან კავშირი მომხმარებლის შენობასთან
MVNO (Mobile Virtual Network Operator)	მობილური ქსელის ვირტუალური ოპერატორი
NTT (Nippon Telegraph and Telephone Corporation)	იაპონიაში მოქმედი სატელეკომუნიკაციო კომპანია
NRA (National Regulatory Authorities)	ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები
KDDI (KDDI Corporation)	იაპონიაში მოქმედი სატელეკომუნიკაციო კომპანია

აბრევიატურები და განსაზღვრებები	ტერმინთა განმარტებები
OECD (Organisation for Economic Co-operation and Development)	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPP (Purchasing Power Parity)	მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
SMP (Significant Market Power)	მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება
Triple play subscriber	აბონენტი, რომელიც სარგებლობს სატელეკომუნიკაციო სერვისების პაკეტით, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს ინტერნეტთან წვდომას, ტელევიზიას და სატელეფონო მომსახურებას
VoIP (Voice over Internet Protocol)	ტექნოლოგია, რომელიც იძლევა ხმოვანი კომუნიკაციისა და მულტიმედია ურთიერთქმედების შესაძლებლობას ინტერნეტ პროტოკოლზე (IP) დაფუძნებულ ქსელებში
VULA (Virtual Unbundled Local Access)	ვირტუალური განუყოფელი ლოკალური წვდომა - მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც კონკურენტებს საშუალებას აძლევს, მათი სერვისებისთვის გამოიყენონ სატელეკომუნიკაციო ქსელის ბოლო მონაკვეთი, რომელიც ცნობილია, როგორც ადგილობრივი მარყუჟი
WiFi (Wireless Fidelity)	მაღალი ხარისხით ინფორმაციის გადაცემის უსადენო ტექნოლოგია
xDSL (x Digital Subscriber Line)	ზოგადი ტერმინი ციფრული სააბონენტო ხაზის სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიებისთვის, როგორცაა ADSL (Asymmetric Digital Subscriber Line), VDSL (Very high-speed Digital Subscriber Line) და SDSL (Symmetric Digital Subscriber Line).
xWDM (x Wavelength Division Multiplexing)	ტექნოლოგია, რომელიც ამრავლებს რამდენიმე ოპტიკურ გადამტან სიგნალს ერთ ოპტიკურ ბოჭკოზე, სინათლის ტალღის სიგრძის გამოყენებით.